საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

პარასკევი, 9 ივლისი 1920 წ.

# ერთობა

ფასი 5 მანეთი

გაზეთი ღირს თვეში **125 მანეთი.** ცალკე ნომერი ყველგან **5 მანეთი** განცხადების ფასი პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი **10 მანეთი**, მეოთხე გვერდზე **6 მანეთი**. სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივი ზომის **(15—2) 200 მანეთი**. ნისიათ განცხადება არ დაიბეჭდება. რედაქცია და კანტორა იმყოფება: **ერთობის ქ. № 4.** შესახვევი რუსთაველის ქუჩის **№ 18-თან. ტელეფონი 16—62.**

№ 153 ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა. № 153

**საქართველოს სოც.-დემ მუშათა პარტიის**

**ცენტრალური კომიტეტი**

**მოთავსებულია ერთობის ქ. № 4, მესამე სართული, შესახვევი რუსთაველის ქუჩიდან № 18, ტელ. 11—79.**

ნუგეშ დაკარგულნი: ბებია სალომე, დედ-მამა ქიფო და ნესტორი, ძმები: დათიკო, მიხაკო და ილია, დები: ფატუშა, ნინუცა, ლიზიკო და ლოლიკა, რძლები: ვისილა, პლატონი და ოლია. სიძე ლადიკო კახიანი, ძმისშვილები: სოლომონ, ნესტორ, ვალიკო, ნარგიზა და ქეთო—მწუხარებით აუწყებენ, რომ შაბათს, 10 ივლისს ქ. ოზურგეთში დანიშნულია ორი წლის თავზე პანაშვიდი ქალ. სოხუმთან ბოლშევიკთა ბრბოების მიერ გულგანგმირულ გვარდიის ხელმძღვანელ კაპიტან

**შალიკო ნესტორის ძის ელიაძის**

გასახსენებლათ. (2208 1—1)

მე-4 ქვეითა ათასეულის უფროსი, აფიცრები და ჯარისკაცები აუწყებენ ამხანაგებს და ნაცნობებს, რომ გმირულათ დაიღუპა აჭარაში ბრბოებთან შეტაკების დროს ლეიტენანტი

**შალვა (კოხთა) გიგინეიშვილი**

(2226 1—1)

**მეორე ქართული კლუბი**

(პლეხანოვის ქ. № 129).

შაბათს, 10 ივლისს — შაბათს, 10 ივლისს

**გ. ქუჩიშვილის**

**საღამო**

**ვახტანგ კოტეტიშვილი:** სიტყვა: „**მოწინავე სადარაჯოზე**“. შინაარსი: 1) ისტორიის გარდაცეხვა; 2) ქვეყნის ტკივილები; 3) ევროპა ახალ საზღვართან; 4) აღმოსავლეთი; 5) საქართველოს პერსპექტივები.

**პოეტები:** ვარლამ რუხაძე, გალაქტიონ ტაბიძე, ობოლი მუშა, გ. ცეცხლაძე, გ. შინატეხელი და სხვა. **დეკლამატორი:** მიხ. ჭიაურელი. **იუმორი:** **თაგუნა** წაიკითხავს ახალს ნაწარმოებს.

**მხიარული კომედია „პარტია-პურტია“**

ქართველ მსახიობთა მიერ. ბილეთები ყოველ დღე იყიდება კლუბში.

გამგე **ი. თარალაშვილი.**

**ძნის შესაკვრელი მანილის კანაფი**

**იყიდება მ. ლ. ლუბლინსკის კანტორაში**

დიდი მდავრის ქ. № 34. ტელეფონი: 15—40.

(2200—3—2)

**ახალი წიგნი**

გამოვიდა გასასყიდათ ს. დოლიძის წიგნი

**„ბუნება და ჯანმრთელობა“**

წიგნში მოთავსებულია ბევრი სასარგებლო ცნობა-დარიგებანი ჯანმრთელობის შესახებ. ახლავს სხემა ტანთ სავარჯიშო სურათების. შეიცავს 100 გვერდს. ღირს ყველგან 50 მ. (2224—3—1)

საქართველოს სენატის კანცელარიისათვის საჭიროა ქართულ

**მანქანაზედ გადამწერი**

საშუალო განათლების ცენზი სავალდებულოა. მთხოვნელთ შეუძლიან მიმართონ სენატის მდივანს ყოველ დღე ივლისის 14-ს 2 საათამდე.

(2223—1—1)

ექიმი

**ნიკოლოზ** სიმ.-ძე **ხეჩინოვი**

იღებს საბებიო, ქალურ და შინაგან სნეულებით ავადმყოფებს დილის 12—2 ს. და სად. 5—7 ს. ბელინსკის ქ. სახ. № 21, ბინა 2. ტელეფ. 11—74.

2048—თ.

## დღევანდელი დღე

საქართველოს რესპუბლიკა დღესასწაულობს ბათომის დაბრუნებას. ხელოვნურათ მოწყვეტილი ნაწილი შეუერთდა ისევ თავის ბუნებრივ სხეულს. მოისპო ისტორიული უსამართლობა, რომელიც უსისხლხორცო აჩრდილათ აქცევდა ჩვენ დამოუკიდებლობას.

ეს მოხდა არა ქვეყნმოქმედობით, არა გარეშე ძალების წყალობით. ეს მოხდა საქართველოს ერის, მისი და აჭარის მშრომელი ხალხის მონდომებით. ბათომი არ არის ნაჩუქარი, ის არის ჩვენი ხანგრძლივი, შეუწყვეტელი პოლიტიკური ბრძოლით ჩვენთან დაბრუნებული.

ბათომი იყო და არის საქართველოს ყოფნა არ ყოფნის საკითხი. საქართველომ გამოიჩინა **ნება** არსებობისთვის ბრძოლაში, და მის აუარებელ მტრებს არ შეეძლოთ ანგარიში არ გაეწიათ ამ ნებისთვის.

ბათომი ახლა ჩვენია, მაგრამ ჩვენ არ ვფიქრობთ, რომ გათავებულია ბრძოლა ბათომისთვის. საქართველოს საზღვრებთან დგანან იგივე მტრები—შავი და წითელი იმპერიალიზმის წარმომადგენლები. დამოუკიდებელი საქართველოს არსებობა არ შეეფერება არც ერთი, არც მეორე მტრის ინტერესებს. ისინი შესცვლიან მხოლოდ ბრძოლის საშუალებებს, მაგრამ ხელს არ აიღებენ თითონ ბრძოლაზე აქ თავისი გავლენის მოსაპოებლათ და ჩვენი დამოუკიდებელი არსებობის გასაქარწყლებლათ.

ჩვენ ვდღესასწაულობთ, მაგრამ არ ვუქმობთ. ეს დღესასწაული შესვენებაა ახალი ძალების მოსაკრებათ.—წინ, წინ, წინ,—აი რას გვეუბნება დღევანდელი დღე. საქართველოს დემოკრატია დღეიდან წავა წინ ბათომის მშრომელ ხალხთან, და ეს შეერთებული ძალა გამოიყენებს ბათომის ღია კარებს ევროპასთან დასაახლოვებლათ და საერთაშორისო დემოკრატიასთან მჭიდრო კავშირის დასაკავებლათ. ჩვენ საბოლოოდ გავიმარჯვებთ, ან დავმარცხდებით ამ დემოკრატიასთან ერთად.

თანამედროვე ისტორიულმა ხანამ უნდა დაამთავროს ის საქმე, რომელიც დაიწყო საფრანგეთის რევოლიუციამ გასული საუკუნის დასაწყისში. მაშინ ქაღალდზე აღნიშნული ადამიანის და მოქალაქის უფლება უნდა გატარდეს სინამდვილეში. ეს იქნება დემოკრატიული პრინციპის ფრთეზ შეუკვეცლათ განხორციელება, ეს იქნება ერის და პიროვნების განთავისუფლება.

ამ პრინციპს, ამ თავისუფლებას დღეს უარყოფს ორივე მებრძოლი ბანაკი—კაპიტალისტური დასავლეთი ინგლისის მეთაურობით და ჩამორჩენილი აღმოსავლეთი ბოლშევიზმის თაოსნობით. ხალხის ბედ-იღბალს ისინი სწყვეტენ ხალხის დაუკითხავათ. ხალხის თვითმოქმედებას ვერ ურიგდება ვერც ერთი, ვერც მეორე სამთავრო.

ხანგრძლივ სამოქალაქო ომში ჯერ ვერ გაიმარჯვა ვერც ერთმა მხარემ, ვერც გაიმარჯვებს. ეს ომი უნდა გათავდეს ორივეს დამარცხებით. სახელმწიფოებრივი წესწყობილება ყველგან უნდა დამყარდეს დემოკრატიულ საძირკველზე ისე, რომ ხალხისაგან იწყებოდეს და ხალხით თავდებოდეს მართვა-გამგეობა. მაშინ ვეღარ გაიხარებს ვერც შავი და ვერც წითელი იმპერიალიზმი.

საქართველომ ეს დაამტკიცა თავისი მაგალითით. აქაური დემოკრატია არ ეპოტინება არც გამარჯვებული ქვეყნების იმპერიალისტებს, არც რუსეთის ბოლშევიკებს. არც ერთ ამ გარეშე ძალას ამიტომ აქ არ ჰქონდა, და არც აქვს ფესვები. ამისი მაჩვენებელია ბათომის დაბრუნება.

ბათომის შემოერთებით ჩვენ გავამტკიცებთ ჩვენ ეროვნულ დამოუკიდებლობას არა დემოკრატიული ძალებისგან და ჩვენ ურთიერთობას ყველა გარეშე დემოკრატიულ ძალებთან. ამით ჩვენ შევიტანთ თვალსაჩინო წვლილს იმ დიდ მოძრაობაში, რომელსაც მიჰყავს კაცობრიობა სოციალიზმის კარებთან.

## „კომუნისტის“ ოინბაზობა

მოგეხსენებათ, როდესაც რომელიმე გაიძვერა ადამიანი ხმა-მაღლა დაიწყებს პატიოსნებაზე ყვირილს, ეს იმისი ნიშანია, რომ იგი რაიმე მზაკვრობას ამზადებს. ამ მზაკვრობის ყველა ნიშნები ემჩნევა უკანასკნელ დღეებში კომუნისტურ პრესას. რუსული და ქართული „კომუნისტ“-ები ორივე რაღაც საეჭვოთ ფიცულობენ ლეგალიზმის და ლეგალურ მუშაობის გზებს და მეტისმეტ ხაზგასმით უარყოფენ არალეგალურ მუშაობას, შეთქმულობითს მეთოდებს. ამ თემაზე დაწერილ ყოველ წერილიდან აშკარა ხდება, რომ შიგ კომუნისტურ პარტიაში დიდი შეხლა-შემოხლაა ამ საკითხის გარშემო. ორივე გაზეთი წუწუნებს იმ „ტერორის“ გამო, რომლითაც ასე ულმერთოდ ავიწროვებს მენშევიკების პარტია კომუნისტებს, საქართველოს მთავრობის ზომებს „პროვოკაციას“ უწოდებს და თავის ამხანაგებს ეუბნება, ამ „პროვოკატორულ“ გამოწვევაზე ჩვენმა ამხანაგებმა უნდა უპასუხონ ყველგან ლეგალური მუშაობის გაორკეცებითაო“. (ქართული „კომუნისტი“). რუსული „კომუნისტი“ პირდაპირ აღნიშნავს, რომ ეს „რეპრესიები“ მეტათ აფიქრებენ კომუნისტებს: „ყოველ მხრიდან ხმა გაისმის, რომ შექმნილ პირობებში ლეგალური მუშაობა მეტათ გაძნელებულია და მოითხოვს უზარმაზარ მსხვერპლს.“

ამ დღეებში გამოვიდა საქ. კ. პ. ცენტ. კომიტ. ბიუროს ასეთი განცხადება.

„ჩვენ გადმოვცეს, რომ ვიღაც მოცლილი თუ მოსყიდული აგენტები ავრცელებენ ხმას, ვითომც საქ. კომუნისტები ამ დღეებში ამზადებენ შეიარაღებულ გამოსვლას. საბაბი თურმე საქართველოს ჯარის ბათუმში შესვლა ყოფილა. პარტიის ცენტ. კომიტეტი აფრთხილებს მოქალაქეებს, არ დაუჯერონ ასეთ უმზგავს და ტუტუცურ ჭორებს ჩვენი მტრებისას“.

რაკი კომუნისტურ პარტიაში, თვით მისი პრესის მოწმობით, ძლიერი ყოფილა არა-ლეგალურ მდგომარეობაში გადასვლის მომხრეთა ხმა, ეჭვი არ არის, რომ ეს ხმა არ დარჩებოდა ცარიელ ხმად და ამ მიმართულების კომუნისტები შეეცდებოდენ სიტყვა საქმედ ექციათ, ლეგალურ მუშაობიდან შეთქმულობით მეთოდზე გადასულიყვნენ და თავისი მომხრეების გამოსვლა მოეწყოთ. ბაქოს „კომუნისტის“ სისულელის წყალობით ამ დღეებში კიდეც გამოაშკარავდა, რომ ასეთი მზადება თფილისში ყოფილა და კიდევაც დანიშნული ყოფილა კომუნისტების გამოსვლის დღე.

მკითხველს ეხსომება ის ვითომდა განჯიდან მოსული ცნობა, რომელიც მოთავსებული იყო ბაქოს „კომუნისტში“: „27 ივლისს თიფლისში გაიმართა მიტინგი, რომელზედაც დიდძალი ხალხი შეგროვდა. მთავრობამ გამოიწვია ცხენოსანი რაზმი, რომელმაც სროლა აუტეხა მიტინგს. მიტინგის ზოგიერთი მონაწილენი სროლითვე უპასუხებდენ. გაიმართა სროლა, რასაც შედეგათ მოჰყვა რამდენიმე კომუნისტის დაჭრა. ბევრი კომუნისტები დაიჭირეს“. აშკარაა, რომ ბაქოში წინდაწინვე ცოდნიათ, რომ 27 ივლისს თფილისში მზადდებოდა გამოსვლა. ამაში ისე ყოფილან დარწმუნებულნი, რომ „კომუნისტს“ წინდაწინვე შეუთხზავს დეპეშა, რომლის მიზანიც ყოფილა ბაქოს პროლეტარიატი აემხედრებინა საქართველოს წინააღმდეგ და ამ გზით საბაბი შეექმნა ადერბეიჯანიდან საქართველოზე თავდასხმის მოსაწყობათ. როგორც ვიცით, კომუნისტებს სამარცხვინოთ წაუხდათ ანგარიში. მათი მზადება სრული მარცხით გათავდა, მათი თანამგრძნობთა რიცხვი ისე პატარა აღმოჩნდა, რომ 27 ივნისს დანიშნულმა გამოსვლამ სრულიად შეუმჩნევლად ჩაიარა.

დღეს ქართული „კომუნისტი“ ცდილობს როგორმე გამოასწოროს ეს სირცხვილი, რომელიც მისმა პარტიამ სჭამა ბაქოელ ამხანაგების სისულელის გამო. მაგრამ იგი თითონვე კიდევ უფრო ართკეცებს და ათქეცებს სისულელეს და რაც უფრო მეტათ ცდილობს გამოსწოროს საქმე, მით უფრო მაგრა ებმება მახეში, როგორც კაკანათში გაბმული ჩიტი. არც აცივა, არც აცხელა, „კომუნისტი“ არწმუნებს თავის მკითხველებს: „ის აშკარა ფაქტი, რომ მათი გაზეთის ფურცლებზე (ბაქოს კომუნისტიდან“(?) გადმობეჭდილი) ამგვარი მოჭორილია და განზრახ შეთხზული, მხოლოდ და მხოლოდ ჩვენს პარტიას ცხებს ჩირქს და სხვას ჯრავის.“ ე. ი. გამოდის, რომ „ერთობას“ თითონვე შეუთხზია ეს „ჭორი“! როდესაც გოგოლის გმირს უთხრეს, რათ გაროზგე უნტერ-ოფიცრის ცოლიო, მან არ იცოდა რა ეთქვა და წამოაყრანტალა, უნტერ-ოფიცრის ცოლმა თითონვე გაიროზგა თავიო. სწორეთ ასე მართლულობს თავს მახეში გაბმული კომუნისტი. „ან კი რა საჭირო იყო ჩვენთვის განზრახ მოგონილი ჭორი?“ გულუბრყვილოდ კითხულობს იგი.

მაგრამ „კომუნისტს“ ავიწყდება, რომ მისმა ჭკვიანმა ბაქოელმა ამხანაგებმა უკვე პასუხი გასცეს ამ საკითხზე: ზემოთ მოყვანილ ცნობის გამო (რომელსაც აქაური „კომუნისტი“ „უპასუხისმგებელო განჯელ კორესპოდენტს აწერს) ბაქოელმა „კომუნისტმა“ ასეთი დემაგოგია გასწია ბაქოს მუშებში: „საქართველოს მშრომელი ხალხის ნების უზურპატორთა ბოროტმა ბრბომ... სისხლიანი „გმირობით“ დააგვირგვინა თავისი „დემოკრატიული“ რესპუბლიკის აღმშენებლობის საქმე. დღევანდელი დეპეშა მოგვითხრობს მენშევიკთა ჟანდარმების მიერ ქართველ მუშათა მიტინგის დახვრეტის შესახებ“ და სხვა. ახლა ხომ გაიგეთ, საქართველოს კომუნისტებო, რათ დასჭირდათ თქვენს ბაქოელ ამხანაგებს ეს ჭორი? ახლა ხომ მიხვდით, რომ ეს ჭორი (როგორც ყოველივე ჭორი) თქვენი ამხანაგების საუკეთესო საბრძოლველი იარაღი ყოფილა?

## ბოლშევიკების გზა

ბოლშევიკებს არ მოსწონთ ჩვენი გზა, არ მოსწონთ ჩვენი ტაქტიკა. ეს არც გასაკვირველია. მაგრამ ამ დაწუნებისთვის მათ სჭირდებათ ლოღიკის აბუჩათ აგდება და ცნებათა არევ-დარევა, რაც მათი თანდაყოლილი სენია; მათი მსოფლმხედველობის ორგანიული ნაკლია.

ჩვენ ვწერდით „ერთობაში“, რომ ჩვენ მივდივართ დემოკრატიზმის გზით სოციალიზმისკენ. ბოლშევიკებს ეს არ მოსწონთ, და უპირდაპირებენ თავის ფორმულას „პროლეტარიატის დიქტატურის გზით კომუნიზმის განსახორციელებლათ“. (იხ. „საქ. კომ.“ № 17. სტ. „ორი გზა“).

ამ დაპირდაპირებაში ერთი დიდი გაუგებრობაა და ერთი დიდი შეცდომა. გაუგებრობაა, როცა „ორი გზის“ ავტორი დემოკრატიის გზას უპირდაპირებს დიქტატურას. ნამდვილათ დემოკრატიზმი ერთი ფორმაა პროლეტარიატის დიქტატურის; ფორმა მარქსის ყველა თეორეტიკოსისაგან მოწონებული და უდავოთ მიჩნეული. როგორ შეიძლება დაუპირდაპირო ფორმა შინაარსს? ეს ბოლშევიკების ლოღიკის უცოდინარობაა.

ჩვენ ვამბობთ, რომ დემოკრატიზმით საუკეთესოთ ხორციელდება პროლეტარიატის დიქტატურა, რადგან ამ შემთხვევაში ის გამოდის, როგორც კლასი, მთელი ერის წარმომადგენლათ, ე. ი. ეროვნულ კლასათ, რომლის გარშემო თავს იყრის ერის დიდი უმრავლესობა.

„კომუნისტებს“ შეეძლოთ და უნდა დაეპირდაპირებიათ ამისთვის „საბჭოთა სისტემა“. ეს იქნებოდა ლოღიკური დაპირდაპირება. მაგრამ ამით ბრძოლა უკვე თავიდანვე წაგებული იქნებოდა, რადგან „საბჭოთა სისტემა“ ესაა დიქტატურა ტერორის, დიქტატურა უმცირესობის და მაშასადამე უარსაყოფელი და სოციალიზმის განსახორციელებლათ მიზანშეუწონელი. ის, შეიძლება, კიდევ გაჭირების დროს გამოსადეგი დარჩეს სამოქალაქო ომისთვის, როგორც მისი შვილი, მისი ნაზარდი და მასთანავე მისი მასაზრდოებელი. მაგრამ სრული დ უვარგისია, კიდევ მეტიც, პირდაპირ მომაკვდინებელია, როგორც სოციალიზმის განხორციელების საშუალება, ვინაიდან მისი მიღწევის მაგივრათ აშორებს მისგან მუშათა კლასს. მოკლეთ რომ ვსთქვათ, რეაქციონურია თავის ობიექტიურ შედეგებით.

ამიტომ გასაკვირველი არაა, რომ „ორი გზის“ ავტორმა ვერ გაბედა თავის უძლური ფორმულის პირდაპირ წამოყენება და იგი მარქსისტულ სამოსელში გახვია: დემოკრატიზმის ფორმას, ე. ი. დიქტატურის ნამდვილ ფორმას, თვით დიქტატურის ცნება დაუპირდაპირა, ე. ი. ლოღიკური აბრუნდი ითამაშა. დაავიწყდა, რომ ამას გამოვუაშკარავებდით.

ამ ძირითადი უკუღმართობიდან გამომდინარეობს მისი დანარჩენი უკუღმართობანი. მათი გარჩევა შეიძლებოდა აღარ გაგვევრძელებია. მაგრამ მკითხველმა, რომ უფრო ნათლათ წარმოიდგინოს კომუნისტების გონებრივი სიმდიდრე, გავყვეთ ქვევით. აქ ბ-ნი „ორი გზის“ კომუნისტი იმეორებს იმ აზრს, რომელიც ჩვენ გამოვთქვით (იხ. „ერთობა“ № 150, ჩვენი გზა), მაგრამ ისე უხეიროთ და გაბრუდებულათ, რომ იქიდან ყალბი დასკვნების გამოყვანა შეიძლებოდეს.

მართლაც წერილში „ჩვენი გზა“ („ერთობა“ 150) ვწერდით: „სოციალიზმი შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ საერთაშორისო მასშტაბით. იგი საერთო პრობლემაა მთელი კულტურულ კაცობრიობის. ცხადია, მისი განმახორციელებელი ძალა საერთაშორისო პროლეტარიატია. ამაში გვეთანხმება „ორი გზის“ კომუნისტიც. იგი სწერს: „ჩვენ ვამბობთ, რომ ასეთი ძალა (სოციალიზმის განმახორციელებელი) არის დღეს საერთაშორისო სამრეწველო პროლეტარიატი, რომლის დიქტატურას ჩვენ ვაღიარებთ და რომლის დირექტივებსაც ყველა ქვეყნის მშრომელი მასსები უნდა გაჰყვენ“.

კეთილი და პატიოსანი. მაგრამ აქედან იბადება საკითხი: რა მდგომარეობაშია საერთაშორისო სამრეწველო პროლეტარიატი და რა დირექტივებს იძლევა იგი.

გადავხედოთ ევროპას. დამეთანხმება თვით ჯიუტი კომუნისტიც, რომ ევროპის პროლეტარიატი უაღრესათ სამრეწველო პროლეტარიატია და მაშასადამე საერთაშორისო მოძრაობის მეთაური და გეგემონი. არის კი იქ დღეს დიქტატურა პროლეტარიატისა განხორციელებული?

რაც უნდა თვალები აიხვიოს „ორი გზის“ ავტორმა, მაინც ვერ უარყოფს, რომ არ არის. ევროპის მუშათა კლასის წინაშე დღეს მხოლოდ დგას დიქტატურის საკითხი, როგორც პრობლემა, როგორც მორიგი მისაღწევი საგანი. ხოლო რა გზით მიდის იქით ამ დიქტატურისაკენ? რა საშუალებებს ხმარობს?

ყოველი მიუდგომელი მკვლევარისთვის უდავოა, რომ იგი სარგებლობს ყველა პარლამენტარული და გარეშე პარლამენტარული საშუალებებით. არჩევნებითაც ისე, როგორც გაფიცვებით და დემონსტრაციებით. პარლამენტარული ბრძოლითაც ისე, როგორც კავშირების გაძლიერებით და გაღონიერებით. ერთი სიტყვით, მიდის დემოკრატიის გზით, ხმარობს ყველა იარაღს, რომელსაც დემოკრატია ანიჭებს მას; სადაც ეს დემოკრატიზმი სუსტია, არა საკმარისია—იგი იქ მის გაფართოვებას ცდილობს, რომ ამით უფრო მკვეთრი გახადოს თავის ბრძოლა.

როგორც ვხედავთ, ევროპის პროლეტარიატი დიქტატურის სახელით არ უარყოფს დემოკრატიზმს, არამედ ათავსებს მათ, თვლის განუყრელ და აუცილებელ მოვლენებად. ამიტომ სწერდა „უდიდესი ავტორიტეტი მეორე ინტერნაციონალში, ქომაგი რევოლიუციური ბასრი კბილის, მემკვიდრე ენგელსისა მარქსიზმის კვლევა-ძიებაში“ (კომ. № 150). კარლ კაუცკი თავის „სოციალურ რევოლიუციაში“: მაშ ასე, დემოკრატია აუცილებელია, როგორც საშუალება პროლეტარიატის მოსამზადებლად სოციალურ-რევოლიუციისათვის. დემოკრატია მუშათა კლასისთვის იგივეა—რაც სინათლე და ჰაერი ცოცხალი არსებისთვის: უამისოთ ის ვერ განავითარებს თავის ძალებს.

ასეთ ბასრ რევოლიუციურ იარაღს გვირჩევდა რევოლიუციური მარქსიზმის საუკეთესო გამომხატველი ჯერ კიდევ 1902 წელს. „ორი გზის“ კომუნისტი კი გზა დაბნეულსავით მოყოლია ოცნობოდის და ასეთ მარგალიტებს გვაჩეჩებს ხელში რევოლიუციურ საშუალებებათ ის სწერს: „საქართველოც ამ გზას უნდა მიჰყვეს (ე. ი. დიქტატურის გზას), ის არ დიუცდის თავის საწარმოვო ძალების უმაღლეს წერტილამდე განვითარებას, ის სცნობს საერთაშორისო რევოლიუციურ პროლეტარიატის დიქტატურას და მის მოთხოვნებს დაემორჩილება“. თუ კი რევოლიუციონერ კაუცკის დავუჯერებთ, ეს ცნობა მოითხოვს ჩვენგან დემოკრატიზმის განვითარებას. „ორი გზის“ კომუნისტური ავტორი კი პირიქით ამ მოთხოვნას უარყოფს და უკუაგდებს. აბა დაუგდეთ ყური. იგი განაგრძობს: „როგორც ხედავთ აქ „დემოკრატიზაციის პროცესი“ აღარ არსებობს, აქ ეს გზა უკვე გავლილათ უნდა ჩაითვალოს ძალაუნებურათ“. რევოლიუციური მარქსიზმი გვეუბნება, თუ სოციალური რევოლიუცია გსურს, დემოკრატიზმი უნდა მოიმარჯვოო. კომუნისტი კი გვირჩევს, არა, დემოკრატიზმი უნდა უკუაგდოო.

მაგრამ ვინც საშუალებას უარყოფს იგი მიზანს ვერ მიაღწევს, და ამით რევოლიუციის ნაცვლათ რეაქციას მიიღებს, მტერს გაახარებს, თავის თავს დაამარცხებს. ამას გვირჩევენ ბოლშევიკები, ამას აკეთებენ იგინი რუსეთში და ამიტომ ვეძახით ჩვენ მათ მოქმედებას ობიექტიურათ რეაქციონურს.

ცხადია, საქართველოც სწორეთ საერთაშორისო სამრეწველო პროლეტარიატის მიხედვით უნდა გაჰყვეს დემოკრატიზაციის პროცესს.

„ორი გზის“ შუა გზა დაკარგულ კომუნისტს გონია, რომ „უკან ჩამორჩენილ ხალხებს, რომლებიც მის (კაპიტალიზმის) გავლენის ქვეშ იმყოფებიან და სწყურიათ კაპიტალიზმის გზით წავიდენ, განვითარდენ, თითონ დაწინაურებული ქვეყნების კაპიტალიზმის მეოხებით გზა მოჭრილი აქვთ და მათ წინაშეც იგივე პრობლემა დგას, ე. ი. კაპიტალიზმის გაუქმება, რაც დაწინაურებულ ქვეყნების წინაშე“.

ავტორი აქაც დიდ და მიუტევებელ შეცდომებს ჩადის. დღემდე ყოველმა მარქსისტმა იცოდა, რომ ჩამორჩენილ ქვეყნების პირდაპირ სოციალიზმში გადასვლა შეეძლო მხოლოდ ევროპაში ამ **სოციალიზმის წინასწარ** განხორციელებას. ჩვენი მოკამათე კომუნისტი კი ამ შედეგებს აწერს კაპიტალიზმს, რაც სრული უაზრობაა. კაპიტალიზმი თავის უმაღლეს საფეხურზედაც არ კარგავს უნარს თავის სამოქმედო ასპარეზის გაფართოვებისას. თვით ის ფაქტი, რომ ჩამორჩენილი ქვეყნები მის გავლენის ქვეშ იმყოფებიან, ამის საუკეთესო დასაბუთებაა. ცხადია, ჩამორჩენილ ქვეყანაში რომ შესაძლებელი გახდეს კაპიტალიზმის გაუქმება, იგი **წინასწარ** უნდა გაუქმდეს.

დაწინაურებულში, ე. ი. უნდა მოწინავე ქვეყნებში ჯერ განხორციელდეს სოციალიზმი, რომელიც თავის გავლენას მოახდენს ჩამორჩენილ ქვეყნებზე და მათ აამაღლებს თავის ახალ ფორმამდე.

„ორ გზის“ შუა დაბნეული კომუნისტი ამ ერთ უაზრობასაც არ სჯერდება და ზედ მეორეს უმატებს; საქართველოს მისი აზრით არ დასჭირდება საწარმოვო ძალთა განვითარება, ეს მისთვის ზედმეტი ბარგია.

მას, პატივცემულ ავტორს ავიწყდება, რომ სოციალიზმი—სწორეთ საწარმოვო ძალთა უაღრესი განვითარებაა. რომ მისი ძალა სწორეთ ამ განვითარების ხელის შეწყობაშია.

აქედან ცხადია, რაც უფრო ახლო სდგას ჩამორჩენილი კუთხე დაწინაურებულთან, ე. ი. რაც მეტათ არის მასში საწარმოვო ძალები განვითარებული, მით უფრო ადვილი იქნება მისთვის საერთაშორისო პროლეტარიატის დიქტატურას გაჰყვეს და სოციალიზმში რაც შეიძლება უმტკივნეულოთ შევიდეს...

ცხადია ჩვენ ვერ ავყვებით ბოლშევიკ ავტორის რჩევას: თქვენ იცანით საერთაშორისო პროლეტარიატის დიქტატურა, და მეტი არაფერი გინდათ, შეგიძლიათ ახლავე შეუდგეთ კაპიტალიზმის ნგრევასო.

ცხადია ის არ გრძნობს, ან არ შეუძლია გაიგოს, რომ დიქტატურა უნდა **დაიწყოს** ევროპიდან, ე. ი. სოციალიზმის განხორციელება ითავოს დაწინაურებულმა მხარემ, ხოლო ჩამორჩენილმა უნდა ეცადოს მახ მხარში ამოუდგეს და უკან არ ჩამორჩეს. ეს მარქსისტული აზრი მათი აზროვნებისთვის სრულიად შეუთვისებელია.

ამის ნაცვლად იგი კონტრაბანდულათ გვაპარებს სულ სხვას: „ქვეყნად პროლეტარიატის ერთმა რაზმმა საკმაოდ მოზრდილმა და ძლიერმა უკვე გაჰკაფა გზა სოციალიზმისაკენ, დააარსა თავის „პროლეტარული სახელმწიფო“ და ახლა ლამის ევროპასაც მიეშველოს ასეთივე გზის გაკაფვაში, ეს არის... საბჭოთა რუსეთი, რომელმაც არა თუ ქართველ ხალხს, არამედ მთელ მსოფლიოს გამოუნახა ერთათ ერთი სწორი, უტყუარი გზა, გზა ხსნისა და ბედნიერებისა“.

ამ კონტრაბანდულ შემოპარულ ახალ დებულებიდან ჩვენ ვტყობილობთ, რომ, საერთაშორისო სამრეწველო პროლეტარიატის დიქტატურა, რომლის სახელით კომუნისტი იარაღის დაყრას გვირჩევდა, ჯერ კიდევ არ ყოფილა რეალურ ფაქტათ ქცეული. არამედ ჩვენ გვქონია ხელში ის საეჭვო ღირებულების მოვლენა, რომელსაც საბჭოთა დიქტატურა ეწოდება. ამ საბუთით კი დემოკრატიზაციის პროცესის უარყოფა და ევროპისგან გამოთიშვა—ეს იქნებოდა ღალატი მარქსიზმის, ღალატი მუშათა კლასის.

კომუნისტი ჩვენ გვისაყვედურებს: თქვენ ყოყმანობთ, არ იცით გაიმარჯვებს ევროპის მუშათა კლასი, თუ ვერაო.

ტყუილათ ირჯებით, ბ-ნო კომუნისტო. ჩვენ მშვენივრად ვიცით და ღრმად დარწმუნებული ვართ, რომ ევროპის მუშათა კლასი გაიმარჯვებს. გაიმარჯვებს სწორედ იმ გზით და საშუალებით, რომელიც კაუცკის ამონაწერში ნაჩვენები და რომლითაც ის მიდის. ესე იგი დემოკრატიის გზით.

ჩვენ არ გვწამს მხოლოდ „საბჭოთა სისტემის მხსნელობა და ბედნიერება“. ამიტომ ვეკავშირებით და ვცნობთ გეგემონიას ევროპის მუშათა კლასის, მაგრამ არ ვცნობთ გეგემონიას რუსეთის საბჭოთა ტერორისას, რომელიც ევროპის მუშათა კლასის გზას გადასცდა და ანარქო-ბლანკისტურ მეთოდებით ფიქრობს ბოლშევიკების და ქურუკ-ხანების გასოციალისტებას.

ჩვენ უარვყოფთ რუსეთში მუშათა კლასის დიქტატურას არსებობას. თუ შეგიძლიათ დაამტკიცეთ წინააღმდეგი. დაამტკიცეთ: ა) რომ რუსეთში მართლა მუშათა დიქტატურაა. დაამტკიცეთ, ბ) რომ სოციალიზმი უნდა განხორციელდეს არა მოწინავე ევროპიდან, არამედ ჩამორჩენილ რუსეთიდან და ბაშკირეთიდან. დაამტკიცეთ, გ) რომ რევოლიუციური მარქსიზმი უარყოფს დემოკრატიზმის გზას სოციალურ რევოლიუციის განსახორციელებლად.

და თუ ვერ დაამტკიცებთ, ხელი აი-

# გენერალური შტაბის ცნობა

8 ივლისი.

**ყველა მიმართულებებზე სიწყნარეა.**

---

**ბათომის გადმოცემის გამო.**

**ქალ. თფილისის პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს პრეზიდიუმისა და პროფესიონალურ კავშირთა—მბეჭდავთა, თამბაქოს ქარხნების მუშების, ხელზე მოსამსახურეთა, სცენის მოღვაწეთა, მზარეულების, ოფიციანტების, საკრედიტო დაწესებულებათა მოსამსახურეების, განახლებულ მეტალისტების, „ნემსის პროლეტარ“-ის, მკერავთა, მემუსიკეების, მშენებელ მუშების, ქალაქის თვითმართველობის მოსამსახურეების, „სურსათის“ მოსამსახურეთა და რკინის გზელთა წარმომადგენლების გაერთიანებულმა სასწრაფო თათბირმა დაადგინა ბათომისა და ბათომის ოლქის საქართველოზედ გადმოცემის გამო მანიფესტაციაში აქტიურ მონაწილეობის მისაღებათ თფილისში—დღეს, 9 ივლისს, თფილისის ყველა მუშები დილის 11 საათზედ შეიკრიბონ მუშათა სახახლესთან დროშებითა და მუსიკით.**

ლით მარქსიზმის სახელწოდებაზე და დაირქვით ის, რაც ხართ: ანარქო ბლანკისტი.

რაჟდენიძე.

# „პრავდას“ და „კომუნისტს“

„კომუნისტს“ „პრავდიდან“ გადმოუბეჭდია სოსნოვსკის წერილი, რომელიც სხვათა შორის მე მეხება.

სოსნოვსკი სწერს:

„დენიკინის მიერ ხარკოვის აღების შემდეგ დიდ ხანმა არ განვლო, რომ გამოვიდა მორიგი ნუმერი მენშევიკების ჟურნალისა „აზრი“, რომელიც გამოდიოდა ბაზაროვის, მარტოვის და სანის (დევდარიანის) რედაქციით. ამ წიგნაკში მარტოვის წერილთან ერთად მოთავსებულია სანის წერილიც, რომელიც ერთგვარ საფასურს აძლევს დენიკინის გამარჯვებას და რევოლიუციის დამარცხებას.

ვტოვებთ რა გვერდზე სმერდიაკოული თამაშს დენიკინელების მიერ წამებულ რევოლიუციონერთა ახალ საფლავებზე და საზიზღარ შეხმატკბილებულ გალობას თეთრგვარდიელებთან ერთად „ჩრეზვიჩაიკის“ საშინელებებზე,—აღვნიშნავ მხოლოდ ერთ მართლაც რომ მარგალიტს. წერილის ავტორი აღნიშნავს, რომ მომხდარი ამბები და მათში მომქმედი ძალები უნდა შეფასებულ იქნეს მათი ობიექტიური მნიშვნელობის მიხედვით, და არა მარტოოდ გარეგნული მხარით, და ხსნის ასე.

საბჭოთა ძალა-უფლება გარეგნულად სოციალისტურია, ობიექტიურად კი კონტრ-რევოლიუციონური, პირიქით, დენიკინელთა ძალა-უფლება, თუმცა გარეგნულად (ვაშა დევდარიანო! მხოლოდ გარეგნულად, არა!) ანტი-სოციალისტურია, მაგრამ ობიექტიურად კი რევოლიუციონური საქმის მკეთებელი ძალაა, ეს იწერებოდა მემარჯვენე მენშევიკის სანის მიერ იმ ჟურნალში, რომლის რედაქტორები იყვნენ „მემარცხენე“ მენშევიკები: მარტოვი და ბაზაროვი“.

ჯერ ორიოდე ფაქტიური შენიშვნა.

მარტოვი ითვლებოდა ამ ჟურნალის მუდმივ თანამშრომლად და თანამშრომლობდა კიდეც. რედაქციაში ის არ იღებდა არავითარ მონაწილეობას, და არც შეეძლო მიეღო. ჟურნალი გამოდიოდა ხარკოვში და მარტოვი კი მოსკოვში ცხოვრობდა.

ბაზაროვი არასოდეს არ ყოფილა მემარცხენე მენშევიკი.

ეს უნდა იცოდეს სოსნოვსკიმ, თუ ერთხელ მაინც დაუხედავს იმ ჟურნალისთვის, რომელზედაც ის ლაპარაკობს.

სოსნოვსკის ეცოდინებოდა აგრეთვე, რომ მე ჩემ წერილში ერთნაირათ ვაფასებდი როგორც დენიკინის, ისე ბალშევიკების ძალას. არც ერთი არ მიმაჩნდა რუსეთის ამშენებლათ. ვწერდი, რომ სუბიექტიურათ რევოლიუციონური ძალა ობიექტიურათ შეიძლება გამოდგეს რეაქციონური, ასეთია მაგალითად ბალშევიზმი. ვამბობდი ამასთანავე, რომ სუბიექტიურათ რეაქციონური ძალა შეიძლება გამოდგეს რევოლიუციონური ობიექტიურათ-თქო. არ მიმითითებია ამ მხრივ დენიკინზე.

არის კიდევ ერთი ფაქტი, რომელიც უნდა ცოდნოდა სოსნოვსკის და მოსკოვ-ხარკოვის ბალშევიკებს. ჟურნალი „აზრი“ დაიხურა სწორეთ დენიკინის განკარგულებით და სწორედ ჩემი წერილის გამო.

საქართველოს „კომუნისტს“ არ სწყალობს ბედი.

ს. დევდარიანი.

# „წითელ“ ადერბეიჯანში

(გაზეთებიდან).

**„წითელი“ არმიელები „წითელ“ აფიცრებს ებრძვიან...** ბაქოს გარნიზონის უფროსმა ნესტეროვსკიმ შემდეგი ბრძანება გასცა: „ჩვენ ეჭვი არ გვეპარებოდა იმაში, რომ კონტრ-რევოლიუცია მხოლოდ მაშინ მიატოვებს ჩვენს წინააღმდეგ მუშაობას, როდესაც იგი უსულგულო დანარცხებული იქნება ჩვენს ფერხთა წინაშე. ეხლა იგი მხოლოდ დაჭრილია, კბილებსა ღრჭენს ტკივილებისაგან და სჩადის ყოველგვარ ავანტიურას, რათა ძირს დასცეს საბჭოთა მთავრობის ძლიერება... ეხლა კონტრ-რევოლიუცია სარგებლობს იმ გარემოებით, რომ წითელ არმიელები ნაწილობრივათ შიმშილს განიცდიან და ეწევიან უუბოროტეს ავანტიურას—წითელ არმიის გახრწნას... დიდი ხანი არაა, რაც მე მოვუწოდე სამხედრო პირებს ხელი აეღოთ ხულიგნობაზე და ლანძღვა-გინებაზე და ეხლა იძულებული ვართ აღვნიშნოთ მეორე,—კიდევ უფრო სამწუხარო ფაქტი—აფიცრობის განცალკევება წითელ არმიელებისაგან, რომელსაც შესაძლებელია საბედისწერო შედეგები მოყვეს. ჩვენი აფიცრობის ნაწილი, შემოვიდა რა დიდ ბურჟუაზიულ ქალაქში, დაეცა და ბურჟუათ იქცა; და წითელ არმიელის მგრძნობიერმა სულმა ტკივილით აღნიშნა ეს ახალი მოვლენა... ამ მოვლენას ალღო აუღეს კონტრ-რევოლიუციონერებმა და უჩურჩულებენ წითელ არმიელებს რაღაც ახალ კასტაზე აფიცრობაში, განსხვავებაზე მათსა და კამანდირებს შორის. წითელ არმიელების შეუგნებელი ნაწილი ადვილათ აჰყვა ამ პროვოკაციას, რასაც შედეგათ ის მოჰყვა, რომ წითელ არმიელებმა აფიცრებს სახელოებიდან ჩამოგლიჯეს აფიცრობის ნიშანი... მიიღეთ სასტიკი რევოლიუციონური ზომები ყველა პროვოკატორებსა და სულმოკლე წითელ არმიელების წინააღმდეგ, რომლებიც ადვილათ მიჰყვებიან ბურჟუების, ბეგების, ხანების და მათ მიერ მოსყიდულთა პროვოკაციას“...

**თათარ კონტრ-რევოლიუციონერებს „ოსმალთა კომუნისტები“ სჯიან...** ბაქოს „კომუნისტ“-ში (19 ივნისი) შემდეგი სწერია: „ბარდინის რაიონებიდან მიღებულ ცნობის თანახმად იქ რამოდენიმე დღის განმავლობაში სწარმოებდა კონტრ რევოლიუციონური მღელვარება, რისგანაც დაზიანდა რაიონის უმეტესი ნაწილი. ავანტიურისტები და კონტრ-რევოლიუციონერები, რომლებმაც მოძრაობა მოაწყვეს, გაიქცენ და თავი შეაფარეს სპარსეთს. ბარდაში ჩამოვიდა ოსმალო კომუნისტების რაზმი. საჭიროა ბევრი მუსულმანი პოლიტიკური მუშაკი“.

**ადერბეიჯანის მშრომელი ხალხის ხარჯზე ქართველი ბურჟუაზიის გამდიდრება.** ბაქოს „კომუნისტში“ (№ 55) სწერია: „საბჭოთა ადერბეიჯანის საზავო დელეგაციის მოლაპარაკება საქართველოსთან გაჭიანურდა იმის გამო, რომ ქართველი მენშევიკები მოითხოვენ ადერბეიჯანის მშრომელი ხალხის ხარჯზე თავისი ბურჟუაზიის გამდიდრებას. საქართველო მოითხოვს ქართველი ბურჟუაზიისთვის ადერბეიჯანში ნაციონალიზაციის და რეკვიზიციის სახით ჩამორთმეული ქონების ანაზღაურებას“.

**აზრის თავისუფლათ გამოთქმისათვის.** ადერბეიჯანის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესმა რევოლიუციონურმა ტრიბუნალმა დამტკიცებულათ სცნო ანატოლი ვართანოვის ბრალდება, რომ იმ სახელს უტეხდა საბჭოთა მთავრობას დამფუძნებელი კრების მოწვევის მოწოდებით. ვიღებთ რა მხედველობაში, რომ ვართანოვი განათლებული კაცია, რომელსაც შეუძლია გაერკვეს მოვლენებში. იმ მშრომელთა ნების წინააღმდეგ, რომელმაც დაამკვიდრა საბჭოთა მთავრობა, ის აგიტაციას ეწეოდა დამფუძნებელი კრების სასარგებლოთ. ამიტომ ტრიბუნალმა მას მიუსაჯა ციხეში დაპატიმრება სამოქალაქო ომის დამთავრებამდე იძულებითი შრომით. („კომუნ.“ № 45).

როცა თავისუფლად იყო ვართანოვი, როგორც სჩანს, ბალშევიკებს ებრძოდა. ახლა, ასეთი განაჩენის შემდეგ, ის, უეჭველია, რამდენიმეთ ბალშევიკებისკენ გადაიხრება, ვინაიდან მისთვის სულ ერთი იქნება ვინც გაიმარჯვებს ამ სამოქალაქო ომში—ბალშევიკები თუ მისი მოწინააღმდეგეები... ასე მოხერხებულათ მუშაობენ ბალშევიკები!..

# საბჭოთა რუსეთში

(გაზეთებიდან)

**ბრძოლა ბანდებთან. კულიაცკის ბანდის საქმე.** სამხედრო-რევოლიუციონურმა ტრიბუნალმა კრემენჩუგში გაარჩია შაკალის, ალფრედოვის, რიაბუხის, ალეიკინის, კრუგლენკოვის და სხ. ეგრეთ წოდებულ კულიაცკის ბანდის საქმე. სასამართლოს წინაშე გადაიშალა მხეცური სურათი იმისა, თუ როგორ არბევდა ეს ბრბო ულარიბეს გლეხობას, წითელ არმიელებს, კომუნისტებს და მათ ოჯახებს. სასამართლომ ყველას დახვრეტა მიუსაჯა. („კომუნისტი“. № 117)

**გაენკოს ბანდის ლიკვიდაცია.** ნიკოლაევი, 5 ივლ. ალექსანდროვსკის მაზრაში განადგურებულ იქნა გაენკოს ბანდა. თითონ გაენკო და მისი თანაშემწე დახვრეტილ იქნა. ბანდის დანარჩენ წევრების დაჭერას წითელი არმიელები განაგრძობენ.

**ეკატერინოსლავი,** 5 ივლ. 30 მაისს სინელნიკოვოში გაგზავნილმა რაზმმა ალყა შემოარტყა სოფელ ვორონოიში დამალულ ბანდიტებს, დააპატიმრა და ყველანი სინელნიკოვოში მოიყვანა. ბანდის მეთაური ლეტი დახვრეტილ იქნა. (კომუნ.“ № 127)

მახნო სადღა არის? ბალშევიკები სწერდენ ამას წინად მისი ბანდა მოვსპეთო, მაგრამ შემდეგ ეს მართალი არ გამოდგა. ასეთია საბჭოთა რუსეთის სურათი—ბანდა ბანდას ებრძვის...

**ერთ ყურში შევიდა, მეორეში გავიდა.** ლაუგანის მუშა-ქალი ხარკოვის „კომუნისტში“ (№ 117) სწერს: „17 მაისს ნაშუადღევის 3 საათზე ჟორჟ ბორმანის ქარხანაში დანიშნული იყო მიტინგი იმის შესახებ, თუ როგორი წინააღმდეგობა გაუწიოთ თეთრ პოლონეთს. მუშებმა 2 საათით ადრე აიღეს ხელი მუშაობაზე. ორატორის ავადმყოფობის გამო მიტინგი სრულ 3 საათზე დაიწყო. ასტყდა წარმოუდგეელი ყაყანი. მუშა ქალები ყვიროდენ: „ჩვენ კი არ უნდა ველოდებოდეთ სხვას, არამედ—სხვა უნდა გველოდეს ჩვენაო“. ათი წამის შემდეგ მიტინგიც დაიწყო... პირველ ორატორს ისე აგდებულათ უსმენდენ, რომ მისი სიტყვები ერთ ყურში შედიოდა და მეორეთი გადიოდა. ლაპარაკის დროს მსმენელნი ჯგუფ-ჯგუფათ დგებოდენ და მიდიოდენ კრებიდან და ბოლოს დარჩა ერთი მუჭა ხალხი. როცა წამოაყენეს რეზოლიუცია, რომ პოლონეთის პანების წინააღმდეგ გაელაშქრებიათ, ეს ერთი მუჭა ხალხიც წამოიჭრა და შექმნეს ყვირილი: „განა ჩვენ შეგვიძლია ყველას სახელით მივიღოთ რეზოლიუციაო“. ერთ-ერთმა „განათლებულმა“ მუშა-ქალმა ისიც კი წამოიძახა—„რათ გვინდა ჩვენ თქვენი რეზოლიუცია? დეე გაახაროს მენშევიკები თავიანთი მუშაობის შედეგმა, ისინი თავიდანვე რყვნიდნენ მუშებს ქარხანაში და ახლა მათაც არ უსმენენ“...

**სამხრეთის ხიჭვი და ვრანგელის მახვილი.** ხარკოვის „კომუნისტი“ (№ 134) სწერს: „ჩვენი სამხრეთის ხიჭვი—ბარონ ვრანგელის ყირიმის ბანდა სულ უფრო და უფრო ღრმად ეჭიდება უკრაინის საბჭოთა რესპუბლიკის სხეულს და ლამის ნამდვილ მახვილ დანათ გადიქცეს. სჩანს, ბარონის შემოტევა დიდი ხანია მზადდებოდა“.

**„სოციალიზმი“ და დანაშაულობათა ზრდა კავკავში.** კავკავის „კომუნისტი“ (25 ივნისი) იტყობინება: „უკანასკნელ ხანებში დანაშაულობათა რიცხვი საგრძნობათ გაიზარდა. გახშირდა ძარცვა-გლეჯა, ქურდობა, სახლების გატეხვა და მგზავრებზე თავდასხმა“.

**ბანდები და კიდევ ბანდები.** ნიკოლაევის საგუბერნიო „ჩრეზვიჩაიკის“ დადგენილებით დახვრიტეს 9 კაცი, რომლებიც მონაწილეობას იღებდენ ტიუტიუნიკის ბანდებში და ეწეოდენ კონტრ-რევოლიუციონურ მუშაობას. („ბორ.“ 140).

**დეზერტირები.** დეზერტირობასთან მებრძოლ ოსტერის რაიონის კომისიაში გამოცხადდა 1770 დეზერტირი.

— სარაპულის კომისიაში თავისი ნებით გამოცხადდა 4000-მდე დეზერტირი. უმრავლესობამ სურვილი გამოსთქვა შეუმოწმებლათ წავიდენ პოლონეთის ფრონტზე. („კომუნ.“, № 132).

— მოსკოვის რევოლიუციონურ სამხედრო საბჭომ განკარგულება გასცა კონფისკაცია გაუკეთონ 3 ივნისამდე ყველა იმ დეზერტირების, მათ მშობლებისა და დამფარავთა ნახევარ ქონებას, რომლებიც თავიანთ ნაწილებში არ გამოცხადდებიან; ნახევარი ქონებისა კი ჩამორთმეული უნდა იქნეს 15 ივლისამდე.

**პეტლიურას მომხრენი.** პავლოგრადის რაიონში პოლიტიკური განყოფილების მიერ აღმოჩენილ იქნა პეტლიურას ორგანიზაცია. ორგანიზაციას კავშირი ჰქონდა პოლონელთა შტაბთან და ტიუტიუნიკის ბანდებთან და მიზნათ ისახავდა შეიარაღებულ გამოსვლით ხელთ ეგდო საწყობები და პეტლიურას ბანდებს შეერთებოდნენ.

**საბჭოთა მთავრობა და გლეხების აჯანყება.** უკრაინის შრომის არმიის სამხედრო რევოლიუციონური ტრიბუნალი იხილავს სოფ. კრასნოეში მცხოვრებ გლეხების საქმეს, რომელთაც ბრალათ ედებათ ამბოხების მოწყობა საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ და წითელ არმიელების ცემა. ორ მათგანს მიუსაჯეს დახვრეტა, ხუთ აქტიურ მონაწილეებს—3 წლის სავალდებულო სამუშაო თავისუფლების წართმევით, დანარჩენებს კი, როგორც შეუგნებლებს, მიუსაჯეს ერთი წლის სავალდებულო სამუშაო თავისუფლების დატოვებით. (ხარკოვის „ბორ.“ № 134).

**სახალხო მოსამართლეები რომ არ დაიმშენ...** ხარკოვის სასურსათო კომისიამ განიხილა საკითხი სახალხო მოსამართლეთა და გამომძიებელთა სურსათ-სანოვაგით უზრუნველყოფის შესახებ და დაადგინა დროებით, სანამ საკითხი საერთოდ გაირჩეოდეს, გაადიდოს მათი ულუფა და ჩარიცხოს ისინი პირველ რიგში საბჭოთა მოსამსახურეთა შორის.

**კომუნისტური პარტიის შეგნება და ძლიერება.** ჩრდილო-კავკასიის ბოლშევიკურ გაზეთებში მოყვანილია ცნობები კომუნისტურ პარტიის წევრთა რიცხვის, კანდიდატებისა და „იაჩეიკების“ შესახებ. მაგალითად საწარმოო კავშირებში ყოფილან: პიატიგორსკის რაიონში: 175 წევრი, 125 კანდიდ. და 27 „იაჩეიკა“. გეორგიევსკის რაიონში: 100 წევრი, 50 კანდიდატი და 21 „იაჩეიკა“. კისლოვოდსკის რაიონში: 8 „იაჩეიკა“. ჟელეზნოვოდსკის რაიონში: 20 წევრი, 15 კანდიდატი და 4 „იაჩეიკა“.

საბჭოთა გაზეთები ასეთ კომენტარიებს უკეთებენ ამ ციფრებს: **პიატიგორსკის რაიონის შესახებ**—„რამდენიც არ ვეცადეთ,—მეტის გაკეთება შეუძლებელი შეიქნა, ვინაიდან არ გვყავდა პარტიული მუშაკები და არ იყო ლიტერატურა. უმთავრესი კი ის არის, რომ ქალაქებში საქმე გვაქვს არა ნამდვილ პროლეტარიატთან, ე. ი. მუშებთან და მასსებთან, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, არამედ—ლაქია ელემენტებთან და მესაკუთრეებთან. ამის მიუხედავათ—პარტიული სოლი მაგრათაა ჩასობილი ამ მასსაში“; **კისლოვოდსკის რაიონის შესახებ**—„პარტიული მუშაობა გლახათ მიმდინარეობს. არ არიან გამოცდილი მუშაკები. ქალაქი გავსილია ბურჟუაზიით. მასსა ცივათ ეკიდება როგორც მთავრობას, ისე პარტიას. პარტიის რაიონულ ბიუროს მოხსენება მხოლოდ იმას მოწმობს, რომ რაიონში პარტიული მუშაობა სრულიად არ სწარმოებს... მოეწყო 8 „კომიაჩეიკა“, მაგრამ სად და როგორი ელემენტები შედიან, არ არის აღნიშნული. არ ვიცით წევრთა და ორგანიზაციათა რაოდენობა“. ასეა საქმე სხვა რაიონებშიაც. მიუხედავათ ამისა, როდესაც საქმე საბჭოების არჩევნებზე მიდგება,—ყველგან აბსოლიუტურ უმრავლესობაში კომუნისტები გადიან“.

# დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

8 ივლისი.

**ფრანგული ცნობები.**

**სპას კონფერენცია.**

ვინაიდან გერმანიის სამხედრო მინისტრი და გენერალი ფონზეკტი, რომლებიც საჩქაროდ იყვნენ გამოგზავნილნი ბერლინიდან, უკვე ჩამოვიდნენ, ამიტომ კონფერენცია ბელგიის პრემიერ მინისტრის დელაკრუას თავმჯდომარეობით უკვე შეიკრიბა. ამ კრებას გარდა დიდძალი ტეხნიკ-ექსპერტებისა, ბერლინში მყოფ სამხედრო, საზღვაო და ჰაერში მფრინავ მოკავშირეთა საკონტროლო კომისიების თავმჯდომარეებიც დაესწრენ. კონფერენცია შეეხო საზავო ხელშეკრულობის სამხედრო საზღვაო და ჰაერში ფრენის პირობების შესრულებას და პირველად ყოვლისა სამხედრო პირობების საერთოთ შესრულების შესახებ სამხედრო მინისტრის მოხსენება მოისმინა. ამ მოხსენებიდან ირკვევა, რომ გერმანიის მთავრობა ეკონომიურ მდგომარეობაზე მიუთითებს და აღნიშნავს, რომ მან საზავო ხელშეკრულების სამხედრო და საზღვაო პირობები შეასრულა. რაც შეეხება ჯარის პირად შემადგენლობის შემცირებას, გერმანია აღნიშნავს, რომ შეუძლებელია ჯარისკაცთა დათხოვა, ვინაიდან ამ გზით უმუშევართა რიცხვი საგრძნობათ გაიზრდებაო. კონფერენციის თავმჯდომარე და შემდეგ ლოიდ ჯორჯი ენერგიულად მოითხოვდნენ გერმანიის მთავრობისაგან დროს დანიშვნას, რომლის განმავლობაში შეუძლია მას მიღებულ ვალდებულების შესრულება, თუ მას მშვიდობიანობის დაცვა და ნდობის დამსახურება სურს.

**ელჩთა კონფერენცია.**

ლოიდ ჯორჯმა სთხოვა გერმანელ დელეგატებს შემდეგ სხდომაზე გააცნონ კონფერენციას თავის გადაწყვეტილებანი. კანცლერ ფერენბახის მოსმენის შემდეგ, რომელმაც განაცხადა. რომ გერმანიაში ძლიერია მშვიდობიანობის ტენდენციები, და რომ გერმანია არ ხელმძღვანელობს რევანშის აზრით, კონფერენციამ შემდეგი სხდომა ოთხშაბათისათვის დანიშნა. ამ დღეს მოისმენენ გერმანიის მთავრობის განცხადებას ლოიდ ჯორჯის მიერ მიცემულ კითხვებზე.

საბჭოთა მთავრობის წარმ. არსებულ ბეჭდ. ბიუროს ცნობა.

**სამხედრო ცნობა.** 6 ივლ. პოლონეთის ფრონტი. დრისის სამხრეთ-დასავლეთის რაიონში ჩვენმა ნაწილებმა ამოაგდეს რა მტერი მის მიერ დაკავებულ პოზიციებიდან, დაიკავეს მერი და ს. ნოვოსტიდან 5 ვერსზე მდებარე ადგილები. მდ. დისენკის ორივე მხრით წითელმა ჯარებმა მიაღწიეს გერმანოვიჩის ჩრდ. აღმ. 6 ვერსტზე მდებარე ადგილებს. სვინციანის მიმართულებით ჩვენი წინსვლა სასურველათ მიმდინარეობს. დ. პლისასთან ჩვენ ხელთ ვიგდეთ მრავალი ტყვე და დიდძალი დავლა. დოკშინის მიმართულებით ჩვენმა ნაწილებმა გადალახეს მდ. ბერეზინა 20 ვერსტის სიგრძეზე. წამოვიყვანეთ ტყვეები. როვნოს მიმართულებით ჩვენმა ცხენოსანმა ჯარმა დაიკავა როვნო. ხელთ იგდო 1000 მეტი ტყვე და დიდძალი დავლა, რომელშიაც იმყოფება 2 ჯავშნიანი მატარებელი, 2 ტანკა, 1 რადიოსადგური, ექვსდიუმიანი ზარბაზანი, 500 ცხენი, ოთქმავლები და ვაგონები. პროსკუროვის მიმართულებით ჩვენი წინსვლა გრძელდება. ქალ. ნოვუშიცის რაიონში ჩვენმა ჯარებმა სძლიეს რა მტრის სასტიკი წინააღმდეგობა, დაიპყრეს ქალ. ბარი.

**ყირიმის ფრონტი.** ბერესლავთან ჩვენმა ჯარებმა სასტიკი ბრძოლის შემდეგ დასტოვეს სოფ. კასოვკა და დნეპრის მარჯვენა ნაპირისაკენ დაიხიეს. ორეხოვის რაიონში მილეტოპოლ-ალექსანდროვსკის რკ. გზასთან ჩვენმა ჯარებმა, რომელთაც სოფ. ორლინსკოე და მიხაილოვკა ეჭირათ, სასტიკ ბრძოლის შემდეგ ძლიერი ძალებით წამოსულ მტერთან დასტოვეს ეს ადგილები და უკან დაიხიეს. ბერდიანსკის რაიონში ჩვენმა ჯარებმა მტრის მნიშვნელოვან ჯარებთან ცხარე ბრძოლის შემდეგ დაიხიეს ს. იურიევკა-ელიზავეტოვკის ხაზზე.

# საქ. დეპ. სააგენტოს საინფორმაციო განყოფილება

8 ივლისი.

**ბაქო.** სპარსეთის საზღვრებზე თავს იყრიან ცნობილ ნური-ფაშის რაზმები, რომლებიც უმთავრესად ასკერებიდან შესდგება. თათრები ნური-ფაშაზე დიდ იმედებს ამყარებენ. ეს რაზმები ყოველ დღე ივსება მოსული თათრებით. ამბობენ, რომ ნური-ფაშის რაზმები უკვე რამდენიმე ათეულ ათასს კაცს მიაღწევსო.

**კავკავი.** დაჟინებით ამბობენ, რომ პიატიგორსკში მე 10 საბჭოთა არმიის კამანდირი პავლოვი დაიჭირესო. პავლოვს დიდ ძალი სახაზინო ფულის მითვისება ბრალდება.

**ლონდონი.** ლოიდ-ჯორჯმა ქვედა პალატას აცნობა, რომ იმ ცნობის მიხედვით, რომელიც მას ხელთ აქვს, იაპონია და ბელგია თანახმანი არიან კრასინთან მოლაპარაკების გამართვისა. გაზეთები იუწყებიან: ლოიდ-ჯორჯის მიერ დასმულ საკითხებზე მოსკოვიდან რადიოთი პასუხი მოვიდა და მოლაპარაკება კვლავ განახლდებაო.

**ლონდონი.** კრასინმა განაცხადა, რომ საბჭოთა მთავრობას აზრათ აქვს ბრიტანიის წარმომადგენლებს დიდი შეღავათები მისცესო. საბჭოთა მთავრობას სჭირდება მასალები რკინის გზისათვის. ავტომობილები, ტანთსაცმელი, ფეხსაცმელი, სხვადასხვა კონსერვები და სხვა. თავის მხრით საბჭოთა მთავრობას შეუძლია პური და სხვა ნედლი მასალის მიცემა. კრასინის სიტყვებით პეტერბურგში და სხვა ნავთსადგურებში გასატანათ 15 მილიონი ცენტნერი პურია დამზადებულიო.

# ახალი ამბები

**დღეს, საღამოს სრულ 6 ს. დანიშნულია საქ. ს.-დ. მ. პარტიის ცენტრალური კომიტეტის მორიგი სხდომა.**

**ყველა პროფესიონალურ კავშირებს.** პარასკევს, 9 ივლისს სეკრეტარიატის შენობაში შესდგება საბჭოს მორიგი სხდომა. დღის წესრიგშია: ჟურნალისტების წესდების დამტკიცება, ბაზრის კონტროლიორების მოხსენება და სხვა საკითხები.

**ინგლისის სარდლობის დავალიანება ბათომში.** ფოსტა-ტელეგრაფის სამმართველომ ჯამი გაუკეთა იმ თანხას, რომელიც ბათომში ინგლისის სარდლობას ვალათ დაედვა. 5 ივლისამდე—ეს თანხა 1.764.363 მან. 07 კაპ. უდრის.

**ადერბეიჯანის კომისია.** 6 ივლისს ბაქოდან 5 წევრი ჩამოვიდა ადერბეიჯანის საზავო კომისიის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად. კომისიის წევრები მონაწილეობას მიიღებენ იმ კითხვების შემუშავებაში, რომელნიც დაკავშირებულია რკინის გზის კონვენციასთან, ბარგთან, ვაგონებთან, ნავთის გადაქაჩვასთან, საბაჟო გადასახადებთან, ფოილოს ხიდის აღდგენასთან და ნავთსადენთან.

**ქართველები ნოვოროსიისკში.** სამი ივლისის მთავრობის სხდომაზე განიხილეს საკითხი ნოვოროსიისკიდან ქართველ მოქალაქეთა გამოყვანის შესახებ. ეს საკითხი წინასწარ დასკვნისთვის სათანადო უწყებებს გადაეცა.

**ამერიკის კომიტეტი.** მთავრობამ დაადგინა ნება დართოს ამერიკის კომიტეტს ობოლთა საჭიროებისათვის კომიტეტის მიერ წარმოდგენილ სიით სომხეთში ზოგიერთი ნივთის გადატანისა.

**ყველა საქარხნო კომიტეტებს.** (განახლებულ ლითონზე მომუშავეთა კავშირის გამგეობისგან) კვირას, ივლისის 11-ს, დილის 9 ს. კავშირის ბინაზე, რუსთაველის პრ. № 17 მე-4 სართული, 49 ოთახი, დანიშნულია ყველა საქარხნო კომიტეტების წევრთა კონფერენცია. დღიურ წეს-რიგშია კოლლექტიური ხელშეკრულების დამტკიცება და მიმდინარე საკითხები. რადგანაც საკითხები რთულია, ყველას დასწრება აუცილებელი და სავალდებულოა. 11 საათზე კონფერენცია კანონიერათ ჩაითვლება, რამდენი წევრიც უნდა დაესწროს. კავშირის გამგეობა.

**წარმოდგენა „ბანვორი ძაინის“ სასარგებლოთ.** კვირას, 11 ივლისს ორთაჭალის მუშათა კლუბი უთმობს თავის შენობას ს. ს. დ. მ. პ. სომხურ სექციას გაზეთ „ბანვორი ძაინის“ ფონდის გასაძლიერებლათ წარმოდგენის გასამართავად. ზედმეტია ამ გაზეთის საჭიროებაზე ლაპარაკი. ეს ერთად-ერთი ორგანოა საქართველოში, რომელიც სომეხ მუშას გასაგებ ენაზე აკმაყოფილებს იმის ინტერესებს. ეს სომხური პრესის მოშხამულ შოვინისტურ ატმოსფერაში მონურ სიტყვის ერთად-ერთი წყაროა. და როგორც ახალი გაზეთი „ბანვორი ძაინი“ ფეხზე დადგება, საჭიროებს მატერიალურ დახმარებას. ორთაჭალის რაიონი არ დაკმაყოფილდა მხოლოდ შენობის დათმობით, არამედ

# სხვა და სხვა სახელმწიფოებრივი წესწყობილება

(იხ. „ერთ.“ №№ 151, 152)

**საფრანგეთი.**

საფრანგეთი **პარლამენტარული რესპუბლიკაა.** ეს რესპუბლიკა რიცხვით მესამეა, პირველი და მეორე ვერ მომაგრდა და დამარცხდა მონარქიზმთან ბრძოლაში. სამაგიეროდ მესამემ გაიმარჯვა საბოლოვოდ და 1875 წ. თავის რესპუბლიკანური კონსტიტუცია შეიმუშავა.

მოქალაქის უფლებანი და მათი ხელშეუხებლობა დაცულია. მართალია კონსტიტუციაში განსაკუთრებით შეტანილი არ არის ადამიანის და მოქალაქის უფლებათა დეკლარაცია, მაგრამ ის ყველას ახსოვს დიდი რევოლიუციიდან დაწყებული. ერთი უნდა ითქვას ახლავე: საფრანგეთში კარგი კანონი ისე კარგათ ვერ სრულდება, როგორც ამას მოითხოვს ხალხის ინტერესი, რესპუბლიკის უფლება და კანონიერება.

ორი პალატაა: ქვედა—**დეპუტატთა პალატა** და ზედა—**სენატი.** ორივე ერთად წარმოადგენს საფრანგეთის პარლამენტს. მუშაობენ ცალ-ცალკე. მაგრამ ხანდიხან მართავენ შეერთებულ სხდომას. მაშინ პალატათა ეს შეერთებული სხდომა **ნაციონალური კრებაა.** პრეზიდენტს, შვიდი წლის ვადით ირჩევს ნაციონალური კრება. პრეზიდენტის ზედიზედ არჩევა შეიძლება უფლებით. მაგრამ არ მომხდარა, რომ ვინმე მეორედ არჩეულიყოს პრეზიდენტად. პრეზიდენტი პასუხისმგებელია მხოლოდ სახელმწიფო ღალატისათვის. სხვაფერ პოლიტიკურად უპასუხისმგებლოა. პრეზიდენტად არ შეიძლება არჩეულ იქნეს რომელიმე ყოფილ სამეფო გვარეულობიდან გამოსული პირი.

პრეზიდენტი იწვევს, სდებს და ხურავს პარლამენტის სესიას. სენატის თანხმობით უფლება აქვს დაითხოვოს დეპუტატთა პალატა. ეკუთვნის საკანონმდებლო ინიციატივა. აქვს უფლება მიღებული კანონი დაუბრუნოს პარლამენტს მეორედ განხილვისათვის. ნიშნავს მინისტრებს, ყველა სამოქალაქო და სამხედრო თანამდებობის პირთ. აქვს შეწყალების უფლება. პარლამენტის თანხმობით აცხადებს ომს და ჰკრავს ზავს, სდებს საერთაშორისო ხელშეკრულებას. განაგებს შეიარაღებულ ძალას.

საფრანგეთის პრეზიდენტს, მზგავსად ჩრ.-ამერიკის პრეზიდენტისა, დიდი უფლებები აქვს მინიჭებული. მხოლოდ იქ ხალხი ირჩევს პრეზიდენტს, აქ ნაციონალური კრება. იქ ვერც ერთს პალატას ვერ დაითხოვს, აქ ქვედა პალატას დაითხოვს ზედა პალატის თანხმობით. იმდენად დიდი უფლებები აქვს საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს, რომ სრულებით შემცდარია რამოდენიმეთ გავრცელებული დებულება: საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი არც მეფობს და არც განაგებსო.

დეპუტატებს ირჩევენ საყოველთაო, პირდაპირი, თანასწორი და ფარული კენჭის ყრით. პალატა ოთხ წლიანია. ქალებს უფლება არა აქვთ. სამხედრო სამსახურში მყოფი არ ირჩევს და არც აირჩევა. აგრეთვე არ აირჩევიან ზოგიერთი უმაღლესი თანამდებობის და საეკლესიო მსახურების წარმომადგენელნი.

სენატორებს ირჩევენ 9 წლით. სენატი ახლდება ნაწილობრივად. ირჩევენ არა პირდაპირ მოქალაქენი, არამედ საგანგებო კრებები დეპარტამენტებში. ეს კრებები შესდგება—ადგილობრივ დეპუტატებისა, სადეპარტამენტო საბჭოს წევრებისა და მუნიციპალურ საბჭოს წევრებისაგან. შეიძლება არჩეულ იქნეს ყოველი მოქალაქე, რომელსაც 40 წელი შესრულებია. არ აირჩევა სამხედრო სამსახურში მყოფი და ყოფილ სამეფო გვარიდან გამოსული პირი.

პარლამენტის წევრთ გასამსჯელო ეძლევათ. ისინი თავისუფალნი არიან სიტყვის წარმოთქმისა და ხმის მიცემაში თავის მოვალეობის ასრულების დროს. მათი პიროვნება ხელშეუხებელია. გამონაკლისია ზედ დანაშაულის ადგილზე მისწრება. მათი შეპყრობისთვის აუცილებელია პარლამენტის თანხმობა. მათ აქვთ უფლება კითხვისა და შეკითხვისა მთავრობისა და მის წევრთა მიმართ.

სამინისტროს ანუ კაბინეთს ადგენს პრემიერ-მინისტრი, დანიშნული პრეზიდენტის მიერ პარლამენტის უმრავლესობიდან. არის **პოლიტიკურათ სოლიდარული პასუხისმგებლობა** კაბინეთისა პარლამენტის, ნამდვილად დეპუტატთა პალატის წინაშე. უნდობლობა გამოცხადებას იწვევს სამინისტროს გადადგომას. აქ გაბატონებულია **პარლამენტარიზმი.**

საზოგადო დანაშაულისათვის მინისტრები პასუხს აგებენ პალატისავე წინაშე, აქ მათ ასამართლებს სენატი, როგორც უმაღლესი სასამართლო.

როგორ იცვლება, როგორ გადაიშინჯება კონსტიტუცია?

გადაშინჯვის წინადადება უნდა მიიღოს ორივე პალატის წევრთა უმრავლესობამ. შემდეგ ამისა პალატა და სენატი ერთდებიან, სდგება ნაციონალური კრება, რომელმაც უმრავლესობით უნდა მიიღოს გადაშინჯული თუ შეცვლილი კონსტიტუცია.

საყურადღებოა, რომ თვითონ მართვა-გამგეობის რესპუბლიკანური ფორმა არ შეიძლება გახდეს გადაშინჯვის საგნად. ამნაირათ რესპუბლიკანური ფორმა კონსტიტუციურათ მუდმივი და უცვლელია. ეს არის კონსტიტუციური გამარჯვება დემოკრატიის და რესპუბლიკანიზმისა. მონარქიზმზე.

მაგრამ მიუხედავად ამისა საფრანგეთის რესპუბლიკა თავის პოლიტიკური აგებულებით არ არის დემოკრატიული რესპუბლიკა. დემოკრატიზაცია სავსებით არაა გატარებული სახელმწიფოებრივ ორგანიზაციაში. ამ სახელმწიფოებრივი დემოკრატიზაციისთვის იბრძვის ერის საუკეთესო ნაწილი. სოციალური საკითხი მწვავედ სდგას. პარტიათა ბრძოლა უკიდურესათ გამწვავებულია. პარტიები დაქსაქსულ-დანაწილებულია, რაც გავლენას ახდენს პოლიტიკური ცხოვრების თავისებურ დუღილზე.

მუშათა კლასის ორგანიზაციები არ არის სასურველად გაერთიანებული. მისი პოლიტიკური და ეკონომიური ორგანიზაციები შეთანხმებით და შეკავშირებით ვერ მოქმედებენ. ეს იწვევს პრაქტიკულ ცხოვრებაში სოციალიზმის სისუსტეს. სოციალისტურ პარტიაში მრავალი ფრაქცია და მიმდინარეობაა. ძლიერია რევოლიუციურათ სინდიკალიზმი და მისი ორგანიზაცია—შრომის საყოველთაო კონფედერაცია.

საფრანგეთში თვითმართველობა ძალზე შეზღუდულია. საფრანგეთი უაღრესად ცენტრალისტური სახელმწიფოა. იგი იყოფა დეპარტამენტებად ანუ გუბერნიებად. დეპარტამენტის გამგე-მეთაურია პრეფექტი, მთავრობის მოხელე, რომელსაც პრეზიდენტი ნიშნავს. მთელი ადგილობრივი ცხოვრება ამ პრეფექტის ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობის ქვეშ სდგას. სამეურნეო საქმეებისთვის ირჩევა გენერალური საბჭო, რომელიც თავისუფალი არ არის თავის მოქმედებაში.

დეპარტამენტი ოლქებად იყოფა. ოლქის უფროსია პრეფექტის მიერ დანიშნული მოხელე, რომელიც პირდაპირ პრეფექტს ემორჩილება. არის აგრეთვე არჩეული საოლქო საბჭო, რომლის მოღვაწეობა ვიწრო ფარგლებშია მომწყვდეული.

დაბა-სოფლებში და ქალაქებში არის არჩეული (ოთხი წლით) მუნიციპალური საბჭოები.

მუნიციპალური საბჭო ირჩევს მერს—ქალაქის თავს. ეს ერთად ერთი სათანამდებო პირია ადგილობრივ მართველობაში, რომ ირჩევა პირდაპირ ხალხისაგან. მაგრამ ისიც ძალიან დამორჩილებული და შეზღუდულია თავის მოქმედებაში. საზოგადოთ საფრანგეთის რესპუბლიკაში ადგილობრივი თვითმართველობა შევიწროვებულია და თხოულობს რადიკალურ გარდაქმნასა და გადემოკრატებას.

საფრანგეთი უნიტარული სახელმწიფოა. აქვს ბევრი კოლონია, რომელიც ცენტრალური მართველობისაგან დიდს შევიწროებას განიცდის. რესპუბლიკის სიკეთენი მათზე თითქმის არ ვრცელდება.

ნ. საქარელი.

იგი იღებს ენერგიულ მონაწილეობას საღამოს გამართვაში. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ სხვა რაიონებიც გამოეხმაურებიან სომხური სექციის ამხანაგების მაგალითს და შეძლების და გვარად აღმოუჩენს შემწეობას.

✦ **ერთდროული განსაკუთრებული გადასახადი.** იმ სახელმწიფო ხარჯების დაფარვის მიზნით, რომელიც სამხედრო მოქმედებამ გამოიწვია, ფინანსთა სამინისტროში ერთდროულ განსაკუთრებულ გადასახადის შესახებ სათანადო კანონ-პროექტი მუშავდება. განზრახულია ამ გადასახადის გადახდაში მიიღებიან მონაწილეობა კერძო წარმოებებს და იმ პირებს, რომლებმაც გამდიდრების შესაძლებლობა მიიღეს და ამავე დროს სახელმწიფოს დაცვაში პირდაპირი მონაწილეობა არ მიუღიათ, სახელდობრ: 1) სააქციონერო საზოგადოებასა და საკრედიტო დაწესებულებებს 2) სავაჭრო და სამრეწველო წარმოებებს, 3) კაპიტალის მეპატრონეთ, 4) ქალაქში უძრავ ქონების და ყველა სხვა მეპატრონეთ მოქალაქეს, რომელთაც 1919 წელში შემოსავალი ქონდათ არა ნაკლებ ასი ათასი მანეთისა მათ გადაახდევინებენ შემოსავლის კვალობაზე იმ გადასახადის 1/4 ნაწილს, რომელიც მათზე იყო მიწერილი 1919 წ. გადასახადების ხარჯთ-ამკრეფი ინსპექტორები და გადასახადთა ამკრეფი სამართველო გააწერს. გაწერილი გადასახადის თანხის გასაჩივრება არ შეიძლება, გარდა 5 პუნქტში აღნიშნულ თანხისა. გადასახადი, რომელიც ერთი თვის განმავლობაში არ იქნება ხაზინაში შეტანილი, ვალად გადაირიცხება და იძულებითი წესით იქნება აღებული.

✦ **სასურსათო დახმარება.** მთავრობამ დაადგინა მიწის ძვრისაგან დაზარალებულთათვის სასურსათო დახმარების აღმოჩენის საკითხის დეტალური განხილვა მიანდოს იუსტიციის და მომარაგების მინისტრებს.

✦ **მილიციის კოოპერატივის წევრთა საყურადღებოთ.** პირველი ივლისიდან მილიციის კოოპერატივი თფილისის ქალაქის მუშა-მოსამსახურეთა ეკონომიურ საზოგადოების ხელში გადავიდა. ამიტომ სთხოვენ მილიციის კოოპერატივის წევრებს, ვისაც წევრად დარჩენა სურს, გამოსცვალონ საწევრო წიგნაკები და შეესონ პაი 50 მანეთამდე. თანახმად წესდებისა, ვინც დღეიდან სამი თვის განმავლობაში არ განაცხადებს თავის სურვილს, ის წევრის უფლებას ჰკარგავს და მისი საწევრო ფული გადაირიცხება სათადარიგო თანხაში. მისამართი ველიამინოვის ქუჩა № 7. გამგეობა.

✦ **შეცდომის გასწორება.** ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში გენ. კუკკოლისის განცხადებაში სწერია: „ოლქის ოკუპაცია ხდება“; უნდა იყოს: ევაკუაცია ხდება და სხვ.

✦ **პარიზში მყოფ საქართველოს მისიის ცნობა.** მიწათ მოქმედების სამინისტროს მიერ კონსტანტინოპოლით პარიზში მყოფ საქართველოს მისიიდან ცნობა მიიღო იმის შესახებ, რომ საქართველოში მევენახეთათვის საჭირო საგნები გამოგზავნილი არისო. გამოგზავნილია აგრეთვე საუკეთესო ხარისხის გოგირდი, რომელიც 3000 ფუთს აღემატება. გარდა ამისა საქართველოსათვის გამოგზავნილი იქნება კიდევ 12,000 ფუთი.

✦ **მუშათა ცენტრალური კლუბი.** შაბათს, 10 ივლისს, გაიმართება დიდი სეირნობა ლატარია-ალეგრით. სცენაზე დადგმული იქნება მხიარული კომედია, ბაღში გაიმართება სხვადასხვა გასართობები. სეირნობა დაიწყება საღამოს 7 ს. ბაღში დაუკრავს ტრამვაის მუშათა მუსიკა.

✦ **იპოვნა** არტემ ბაგდასაროვმა კოჯორის გზაზე ავტომობილის ნასოსი. პატრონს შეუძლია მიიღოს ყაზბეგის ქ. სახლი № 25. ამხანაგობა „ვერა“.

**კ რ ე ბ ე ბ ი**

— დღეს, 9 ივლისს, საღ. 5 საათზე დანიშნულია ს. ს. დ. მ. პ. მესამე რაიონის კოლექტივის ჩვეულებრივი სხდომა. (კახეთის ქ. № 1).

— დღეს, საღ. 7 ს. დანიშნული მეოთხე რაიონული კოლექტივისა და ვერის მუშათა კლუბის გამგეობის ქართულ კლუბში სეირნობა-საღამოს მომწყობ კომისიის სასწრაფო სხდომა. სთხოვენ ყველა მოწვეულ პირთ აუცილებლად დაესწრონ.

— საერთო კრება რესპუბლიკის ექიმთა პროფ. კავ. თფ. განყოფილებისა მოხდება 9 ივლისს, საღამოს 7 ს. დიდი მთავრის ქ. № 103 ყოფილი ალექსანდრეს საავადმყოფო.

**პროვინციის ქრონიკა.**

**ოზურგეთის** სამაზრო ერობის მიერ მოწყობილი სამასწავლებლო კურსები გაიხსნება ქ. ოზურგეთში 15 ივლისს და გაგრძელდება 10 სექტემბრამდე, კურსების დამთავრების შემდეგ დანიშნულია გამოცდები.

## ბათომის დაბრუნების გამო

დეპუტატმა აკაკი ჩხენკელმა არტაანიდან მიიღო შემდეგი დეპეშა: „შავშეთ-ერუშეთის და არტაანის მიდამოებში მყოფი ჯარების ოფიცრები და ჯარის კაცები უღრეს სიხარულს გამოსთქვამენ ბათომის და მისი ოლქის დაბრუნების გამო. მოგილოცავთ თავდადებულო მოღვაწევ თქვენი მეტათ რთული და მეტათ მძიმე შრომის კეთილათ დაგვირგვინებას. გისურვებთ რომ ხანგრძლივი და წარმატებითი ყოფილიყოს თქვენი მუშაობა, რომელიც სამშობლოს დემოკრატიას ანთებულ ლამპარივით მიუძღვის კეთილ-დღეობისათვის. პოლკოვნიკი **ვაჩნაძე.**

---

**დამფუძნებელ კრების პრეზიდიუმს**

რკინის გზის მუშა-მოსამსახურეთა კავშირის წარმომადგენელთა კონფერენცია, რომლის მუშაობის დროს, საქართველოს დაუბრუნდა უსწორო ბრძოლაში ძალით ჩამოგლეჯილი მისი სასიცოცხლო და უძვირფასესი ნაწილი—ბათომი და მისი ოლქი, უსაზღვრო სიხარულით აღსავსე მოგესალმებათ და მოგილოცავთ ქართველი ხალხის ბრწყინვალე გამარჯვებას. რკინის გზის დემოკრატიას ღრმად სწამს, რომ სამართლიანობის და სოლიდარობის იდეა საბოლოო გამარჯვებას იგემებს მსოფლიო რეაქციასთან და იმპერიალიზმთან ბრძოლაში და ქართველი გაერთიანებული დემოკრატიაც სხვა ერებთან ერთად ღირსეულ ადგილს დაიჭერს საერთაშორისო ოჯახში. სალამი ჩვენს ღვიძლ ძმებს—მაჰმადიან ქართველებს. გაუმარჯოს გაერთიანებულ საქართველოს დამფუძნებელ კრებას.

ასეთივე მისალმება გაეგზავნა მთავრობის თავმჯდომარეს და მთავრობის მთავარ რწმუნებულს ბათომში.

**ბათომი,** 7 ივლისი. ბათომის სამოქალაქო ნაწილის გამგეობამ შეატყობინა ყველას, ვისაც დეპოზიტში შეტანილი ფული არ მოუთხოვია, რომ მათ დაუყონებლივ მიმართონ დიდი ბრიტანეთის კონსულის კანცელიარიას თავისი ფულების მისაღებათ. ამ განცხადებას ხელს აწერს მაიორი შელლი,

**ბათომი.** 7 ივლ. მთავრობის თავმჯდომარეს გაეგზავნა შემდეგი დეპეშა, რომელსაც ხელს აწერს ხანუმ ხიმშიაშვილისა: ვინაწილებ რა საყოველთაო სიხარულს ბათომის ოლქის სამშობლო საქართველოსთან შეერთებას, როგორც ქართველი მუსლიმანი ქალი, რომელსაც ყოველთვის მსურდა ორი ძმის შეერთება, საერთო ჩვენ მშვენიერ სამშობლოს ვუსურვებ ბედნიერებას და აყვავებას.

## ერობის არჩევნები ახალქალაქის მაზრაში

**ქ. ახალქალაქი** (საკუთარი კორესპონდენტისაგან). საერობო არჩევნები ახალქალაქის მაზრაში დამთავრდა სოციალ-დემოკრატიის ბრწყინვალე გამარჯვებით. სულ არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 23,734 ამრჩეველმა. ხმები ასე დანაწილდა:

| | |
|---|---|
| სოც.-დემ. მიიღო | 16,627 ხმა |
| დაშნაკელებმა | 5.744 „ |
| ესერებმა | 749 „ |
| ნაც.-დემ. | 644 „ |
| გაიყვანეს: | |
| ს.-დ. | 22 ხმოს. |
| დაშნაკ. | 7 „ |
| ესერებმა | 1 „ |
| ნაც.-დემ. | 1 „ |

სულ 31 ხმოსანი.

## წერილები ფრონტიდან

**წერილი მეექვსე.**

დროებითი ზავის ამბავი და სროლის შეწყვეტის ბრძანება, საწამლავი გაზით გატენილ ყუმბარასავით გასკდა ადერბეიჯანის ფრონტზე.

გვარდიელები გაბოროტებული ბუზღუნობდენ და აქა-იქ იგინებოდენ კიდეც. „ეშმაკმა იცის რა ხდება?! სულ ასეა: მოვიკრებთ თუ არა მთელ ძალას და მოვამზადებთ თუ არა საბოლოო ბრწყინვალე გამარჯვებას, თფილისი უმალვე „ატბოის“ გვიკრავს!“-ო; „მერე რამოდენიმე თვის შემდეგ სახელმეორეთ უნდა გაგვიხდეს საქმე!“-ო, ამბობდენ გულმოსული გვარდიელები. არც თუ სარდლობა იყო კარგ გუნებაზე. გენერ. ჯიჯიხია მეტი ნაწყენობით ხმას აღარ იღებდა. ყველა სინანულის გრძნობას განიცდიდა, რომ ამდენი მზადება უქმათ ტარდებოდა და მოსასპობათ განწირული მტერი იოლათ გამოდიოდა და მართლაც, ეხლა გვარდია სამჯერ მეტი იყო იმაზე, რამდენიც წინა ბრძოლაში გვყავდა და თან ისე მოხერხებული მანევრები დაათავა, ისე ნახევრათ გარშემორტყმული უცქერდა მტერს, რომ დატყვევება საეჭვო არ იყო. ამავე დროს ყოველი შემთხვევისათვის სადახლოდან ნეიტრალურ ზონისკენ ჩვენ მარჯვნივ, მოვიდა რეგულიარული ჯარის ნაწილები ზარბაზნებითა და ცხენოსან ესკადრონით. ერთი სიტყვით, აშკარა იყო მტრის სრული განადგურება და ნაშთთა და ნადავლთა ხელში ჩაგდება და აი, ამას ნანობდა ყველა. განსაკუთრებით ჯავრობდენ ახალი მოსული ბატალიონები: „ერთი ჩვენც მიგვეღო მონაწილეობა მუხთალი მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში“-ო.

შერიგება მაინც ფაქტი იყო, ბრძანება მთავრობისა მაინც უნდა აგვესრულებია. 19 მაისს შიხილოში ჩამოვიდა პოლკ. გედევანიშვილი და ჩამოიტანა ცნობა, რომ ადერბეიჯანის დელეგაცია უკვე მოდის აღსტაფიდან ფრონტისკენ და ჩვენც უნდა შევხვდეთო. ცნობაში აღნიშნული იყო „წითელ“ ადერბეიჯანის დელეგაციის შემადგენლობა. სულთანოვს და კვანტალიანს ბევრი იცნობდა ჩვენში და გაოცებული რჩებოდენ, განსაკუთრებით უკვირდათ სამტრედიელ გვარდიელებს, რომ ეპიფანე კვანტალიანი ადერბეიჯანის უფროსი გამხდარიყო. „რაღა დამარცხება უნდა მათ რესპუბლიკას, დამარცხებულა და ისაა“ ო, ამბობდენ ისინი. მეც გამახსენდა ზოგი ეპიზოდები ძველი შეხვედრიდან. 1914 წელს ბაქოს პროლეტარიატი საერთო გაფიცვისათვის ემზადებოდა. ერთ რაიონში, სადაც ბალშევიკებს გავლენა ჰქონდათ, წარმომადგენელთა კრება საერთო მოთხოვნილებებს არჩევდა. მცირე ჯამაგირიანებს უნდა მომატებოდა 30 პროცენტი და ამავე დროს ვთხოულობდით მინიმუმის დაწესებას, რომ 35 მანეთზე ნაკლები არავის ჰქონოდა თვეში. კვანტალიანმა ვერ გაიგო ეს და მოითხოვა ამ მუხლის ამოშლა. ეს რომ დარჩეს, ნახევარზე მეტი მუშისთვის ზედა მუხლი, მომატების შესახებ გაბათილდებაო, ამბობდა ის: ვინაიდან ეხლაც ბევრი ქარხანაა (ნობელი, როდშილდი და სხვები), სადაც „ტარტალჩიკს“ 36 მანეთი აქვს თვეში, ხოლო თუ მაგი მუხლი გავიდა, იმათ ერთი მანეთი უნდა მოაკლდეს მომატების მაგიეროო. ჩვენ იძულებული ვიყავით ლექცია გვეკითხა მინიმუმის მნიშვნელობაზე, მაგრამ კვანტალიანები მაინც ვერ დავარწმუნეთ, რომ ეს მუხლი მხოლოდ იმათთვის იწერება, ვისაც 30 პროცენტის მომატებითაც 35 მანეთი არ გაუხდება. მთელი ღამე დავკარგეთ ამის დავაზე და შედეგს ვერ მივაღწიეთ. მოწინავე მუშები გულზე სკდებოდნენ, მაგრამ რას იზამდენ, როცა კრების უმრავლესობას კვანტალიანები შეადგენდენ. მეორე დღეს ბალშევიკებმა კრებაზე მოიყვანეს ერთი რუსი ამხანაგი, ციმბირიდან გამოქცეული ინტელიგენტი კარტაშევი, რომელმაც მუშაობა გაგვიადვილა. მინიმუმის კითხვა სულ აღარ აღძრულა: ეტყობოდა, კარტაშევს წინასწარ დაურწმუნებია ისინი და ბალშევიკებიც ერიდებოდნენ მასზედ ლაპარაკს...

მაგრამ დავანებოთ თავი ძველ ამბებს, მით უმეტეს, რომ ეს კვანტალიანს ვერ ავვაშორებს: დღეს ის რესპუბლიკას წარმოადგენს და ჩვენც ასე უნდა მივიღოთ.

საათის 12 მოვიდა ბალშევიკების წერილი. ითხოვდენ ჩვენი დელეგაციის მათ ლაგერში ჩასვლას. წავიდნენ.

საღამოს ისინი ძალიან გულმოსული დაბრუნდენ. განსაკუთრებით ჯავრობდა ამხ. ვალიკო: ისე ლაპარაკობენ, თითქოს დამარცხებული არ იყვნენო. ყველა კიდევ იმაზე იყო გულმოსული, რომ შეთანხმება არ მოხდა უმთავრესათ კვანტალიანის წყალობით, რაც კიდეც აღენიშნა დელეგაციისათვის ამხ. ვალიკოს. როცა გვარდიელებმა გაიგონეს ბალშევიკების მოთხოვნილება, ნიშნის მოგებით ამბობდენ: ახია ჩვენ თავზე, რას ველაპარაკებით, ავყაროთ იარაღი სავსებით და მერე მოვლენ ჭკუაზეო.

ადერბეიჯანის მოთხოვნილება იყო, დაგვეხია უკან იმ ხაზზე, რომელზედაც ვიდექით 12 საათის ბრძოლამდე, ე. ი. დაგვეტოვებია არა მარტო ადერბეიჯანის ტერიტორია, რომელიც ჩვენ მისვლამდე მათ გადმოლახეს და ეჭირათ რამდენიმე დღით. ამაზე, რასაკვირველია, ჩვენ ვერ დავთანხმდებოდით. მოლაპარაკება ჭიანურდებოდა, ან უკეთ, მოლაპარაკებას აჭიანურებდენ. აშკარა იყო ფიზიკურათ დამარცხებულ ბალშევიკებს კვანტალიანები აიმედებდნენ იდეურათ გამარჯვების შესახებ; ამ მიზნით იმათ ეტყობოდათ ლტოლვა ე. წ. დაძმობილებისაკენ მათ და ჩვენ ჯარებს შორის. ამხ. ვალიკომ თითონ მოუწოდა მათ ჯარს გადმოსულიყვნენ ჩვენში და თითონ ენახათ ვის ეჩხუბებოდენ. გაიმართა მთელ ფრონტზე აგიტაცია. ბალშევიკთა ჯარისკაცებმა მართლაც დაინახეს რომ საქმე მუშებთან და გლეხებთან აქვთ და დაყვავებით ეუბნებოდენ მათ: „თქვენ რა გენაღვლებათ, თქვენ რას კარგავთ, ჩვენ ხომ თქვენ არ გებრძვით, ჩვენ მხოლოდ თფილისის ბურჟუაზიამდე გვინდა მივიდეთ: ამბობენ, მათ დიდი ქონება აქვთ დაგროვილი, შემოგვიერთდით, გავიყოთო“. ამაზე ზოგი ზიზღით უპასუხებდა, ხოლო უფრო მომზადებული მუშები უხსნიდენ მათ მოქმედების დამღუპველ მნიშვნელობას პირველად ყოვლისა მუშათა კლასისთვის. მოყავთ მაგალითები თითონ რუსეთიდან, თუ როგორ განადგურდა მათი ტაქტიკის წყალობით მრეწველობა, განადგურდა ეროვნული სიმდიდრე და ეხლა ყველა შიმშილით წყდება; როგორ გადაშენების გზას ადგია მუშათა კლასი და სხვ. ამავე დროს აცნობდენ ჩვენ წესწყობილებას, დემოკრატიულ მმართველობას, მიწის რეფორმას, გადასახადების სისტემას და სხვ.

სულ მალე გაისმა ხმა წითელ არმიელებში: „ეს მართალია, ჩვენ გვატყუილებდენ“ და სხ. რამდენიმე დღის შემდეგ გვარდიამ სავსებით თავის გავლენის ქვეშ დააყენა წითელი არმიელები და სრულიათ გულ ახდილი იყვნენ ჩვენებთან. ისინი გულახდილათ ამბობდენ, რომ არაფერი საერთო აქვთ კომუნისტურ პარტიასთან, მაგრამ ერთხელვე მოემწყვდენ ამ ლაგერში და ინერციით მიყვებიან. „უბედურები ვართ და რა ვქნათ, ჩვენი მოტყუება ყველას შეუძლია, თქვენ თავები გაქვთ ამხანაგებო და რა გიჭირთო“. ჩქარა ჩვენი გვარდიელები თითონ გადადიოდენ მათ ლაგერში და ისე, როგორც დელეგაციის წევრები, სიბრალულის გრძნობით დატვირთულნი ბრუნდებოდენ: საცოდავი ხალხი, რას გვანან, როგორ იხოცებიან ჭუჭყში, მერე რა ახალგაზრდობაა, ბავშვებიაო, ამბობდენ სინანულით.

გამოირკვა, რომ მე-32 დივიზია, რომელიც სამჯერ ზედი ზედ დავამარცხეთ და 24—26 ვერსზე ვსდევნეთ, ძალზე დაზარალებულიყო. ჩვენ ყოველ დღეს ვნახულობდით ჯეჯილებში ახალ-ახალ მკვდრებს. ერთ ადგილას 15-მდე კაცი ვნახეთ ტურებისგან გამოხრული. მათ შორის ყოფილიყო მწყობრის უფროსი, რომელსაც თავის მწყობრის სია ქონდა ჯიბეში და რომლების უმრავლესობა მალოროსები იყვნენ. ადერბეიჯანიდან გამოპარულები გვატყობინებდენ აგრეთვე, რომ მთელი მატარებლები ივსებოდა დაჭრილებითო. ერთი სიტყვით, მე-32 დივიზია ნახევრად განადგურებულიყო და ამიტომ ის წაეყვანათ განჯისკენ. სამაგიეროთ, მოეყვანათ მე-20 დივიზია და აი, მათთან გვქონდა ეხლა იდეური ბრძოლა. ამ ორ დივიზიას შორის დიდი განსხვავება იყო იმ მხრით, რომ მე-32 შესდგებოდა თითქმის სულ ძველი ჯარისკაცებიდან, ხოლო მე-20 მუშებიდან და ახალგაზრდა გლეხებიდან. ამ ბავშვებს როგორ უნდა ვესროლოთო,—ამბობდენ ჩვენი გვარდიელები და უწილადებდნენ თავის წილ შაქარს. ბალშევიკებმა შენიშნეს, რომ იდეურ ბრძოლაშიაც ჩვენ ვიმარჯვებდით: უკვე იყო შემთხვევები, რომ საგიტაციოთ წარმოგზავნილი უკან აღარ გაბრუნდნენ ხოლმე და დაუკრეს „ატბოი“. ამიერიდან წითელ არმიელებს კი აღარ გზავნიდენ, ისინი თითონ მოიპარებოდენ სამუსაიფოთ. მოედვენ აგრეთვე ჩვენ გაზეთებს. ჩვენ მხოლოდ თქვენ გაზეთებს ვენდობითო, ამბობდნენ ისინი და გვთხოვდენ გაზეთებს. მე გამოვიწერე და გადავეცი მათ „ბორბა“-ს ძველი ნომრები, სადაც ნოე ჟორდანიას სიტყვები იყო ადერბეიჯანის „გაწითლებისა“ და ჩვენი მდგომარეობის შესახებ მუშათა დეპუტატების საბჭოში და დამფუძნებელ კრებაში თქმული, რაზედაც მეორე დღეს მადლობა გამოაცხადეს. ამავე დროს დელეგატებს ცნობა მოქონდათ, რომ ჩვენთან და მით უმეტეს სხდომაზე წითელ არმიელებს აღარ უშვებენო. კიდევ მეტი. დაუწყეს გაფანტვა წითელ არმიელებს, რომლებიც ჩვენ შოფერებთან იყრიდენ თავს და მათთან მუსაიფი ჰქონდათ.

ერთ დღეს, 24 მაისს, მეც წავყევი დელეგაციას. კვანტალიანი ღიმილით შეხვდა, მაგრამ ისე, რომ თავის მუდმივი ხელოვნური ფილოსოფოსის პოზა არ დაერღვია. მეც ღიმილით ჩამოვართვი ხელი და ვუთხარი: „ადერბეიჯანის მოქალაქეს გაუმარჯოს“-თქო, რაზედაც სულთანოვმა ენერგიულათ გადმომხედა და შემდეგ მითხრა: მე თქვენ მეცნობებითო. მე მოვაგონე სპარსეთის რევოლიუცია და მთავარი კომიტეტი ბაქოში, რომელსაც ის მაშინ გასაგზავნ-გამოსაგზავნათ ყავდა (ჯერ კიდევ ბავშვი იყო). დაიწყო სხდომა, რომლის წინ წითელ ოფიცერმა კიბეზე დააყენა წითელი არმიელი და უბრძანა არავინ შემოუშვაო.

ბალშევიკებიც და ჩვენებიც ეძებდენ კომპრომისს. ამ დროს ჩვენ უკვე გვესმოდა კანტი-კუნტათ ხმები განჯისა და სხვა ადგილების აჯანყების შესახებ. ჩვენებს არ უნდოდათ ესარგებლათ მდგომარეობით და მაინც კომპრომისზე მიდიოდენ. განსაკუთრებით ცდილობდა შეთანხმებას ამხ. ვალიკო, რომელიც სულ იმას გაიძახოდა ჩვენ შინაურ კრებებზე, რომ ყოველი ღონე მიგვეღო სისხლის ღვრის განმეორების თავიდან ასაცილებლათ. შემდეგში, როცა ფრონტზე „ტაიმსიდან“ გადმობეჭდილი ცნობა მოვიდა მის მილიტარისტობაზე, ჩვენ ბევრს ვიცინოდით ხოლმე... ჩვენმა დელეგაციამ ბოლოს წაუყენა უკანასკნელი კომპრომისი: ჩვენი ჯარი დაიხევს საზღვართან მდებარე სტრატეგიულ მთებზე, ხიდი დარჩება ჩვენ განკარგულებაში. მოწინააღმდეგე ჯარი უნდა დარჩეს იქ, სადაც დგას, ხოლო შუაში დარჩენილი ტერიტორია საბოლოო ზავის შეკვრამდე იქნება ნეიტრალური, სადაც მცხოვრებთ და ადმინისტრაციას შეუძლია დაბრუნდეს, ჯარს კი არა, ამ ნეიტრალურ ზონაში უნდა იდგეს შერეული კომისია საჭირო დარაჯთა რიცხვით, რომ პირობის გატარებას თვალყური ადევნოსო. მათ მოითხოვეს 24 საათი დრო უკანასკნელი პასუხისთვის და ჩვენებიც დასთანხმდენ.

სხდომის შემდეგ კერძო ლაპარაკი ჰქონდათ დელეგატებს, ხოლო ჩემთან მოვიდა ერთი წითელ არმიელი, ყოფილი თფილისის მუშა-მეჩექმე. მას ძალიან აინტერესებდა აქაური ამბები. ცოტა მუსაიფის შემდეგ მითხრა, რომ რუსეთში საშინელი პროვოკაციაა გავრცელებული, თითქო თფილისში რუსებს ხოცავენ, ვინც ჩქარა არ წავიდა და სხვადასხვა. მე მოკლეთ ავუხსენი სინამდვილე და ვუთხარი, რომ ჩვენში რუსებს ორი წარმომადგენელი ყავს დამფუძნებელ კრებაში-თქო. ავუხსენი ისიც თუ როგორ შემოვიხიზნეთ დენიკინისგან ძლეული რამდენიმე ათასი რუსი ბალშევიკი და როგორ ვეხმარებოდით მათ და ბევრი მათგანი ახლახან, როცა კავკავიდან დენიკინელები გაიქცენ, ძმურათ გავაცილეთ სახლისაკენ. ამ ლაპარაკს ყურს უგდებდა კვანტალიანი და ფითრდებოდა. უკანასკნელი ამბავი ვეღარ მოითმინა და გაწიწმატებული ჩაგვერია ლაპარაკში: „კარგათაც გააცილეთ, გახადეთ ტანისამოსი და შიშველი გაუშვით სახლშიო“. მე ზიზღი კი არა სიბრალული ვიგრძენი ამ ადამიანობა დაკარგულ ახალგაზრდის მიმართ. მან კარგათ იცოდა, რომ გვარდიიდან მიმავალი წითელი არმიელები არამც თუ არ გაგვიტიტვლებია, პირიქით, შტაბის განკარგულების თანახმათ გაცვეთილი ტანისამოსი ვისაც ქონდა, ახლით შეუცვალეს, რომ ამით მიმავალ უცხო მუშებისათვის მადლობა გვეთქვა მათი პატიოსანი სამსახურის ჯილდოთ. მე კვანტალიანს არაფერი ვუპასუხე, ხოლო ჩემ მოსაუბრეს ვუთხარი, რომ უმჯობესია თვით გაიგონ სიმართლე, გაგზავნონ კავკავში ერთი კაცი, და ნახონ წასულები თავის თვალით, წამოდით თფილისშიაც და ნახეთ, როგორ ცხოვრობენ იქ რუსის მუშები და სხვა. წითელ არმიელმა მადლობა მითხრა და აღიარა, რომ ძალიან ენატრება თფილისის ნახვა. შემდეგში ამ მუშამ და კიდევ მეორემ, რომელსაც არსენალში ემუშავნა ომის დროს, იცნეს დამფუძნებელი კრების წევრი კოვალიოვი, რომელმაც საჩუქრები ჩამოუტანა გვარდიელებს და ნეიტრალურ ზონაში მყოფი წითელი არმიელებიც ინახულა. მათთვის ყველაფერი ცხადი შეიქნა.

მეორე დღეს ადერბეიჯანის დელეგაცია დასთანხმდა კომპრომისულ წინადადებაზე და დროებითი ზავიც შეიკრა 8 დღის ვადით. წითელ არმიელები ყოველ გავლა გამოვლის დროს ეკითხებოდენ ხოლმე ჩვენ დელეგაციას,—ამხანაგო, ზავი იქნება თუ არა? და როცა იმედს გამოვსთქვამდით, ძალიან უხაროდათ. ძალიან ხშირათ დელეგაციის გავლის დროს ერთხმათ შესძახებდენ: გაუმარჯოს საზავო დელეგაციასო. და აი, ეხლა, როცა პირობას ხელი მოაწერეს და გამოიარეს ამ ამბით, წითელ არმიელების ახალგაზრდობა ცას ეწია სიხარულით, მათი „ურა“ ჩვენ ხაზამდე აღწევდა. საცოდავებს ზავი და შინ წასვლა ერთი და იგივეთ ჰქონდათ მიჩნეული. აქედან მართლაც მეორე დღისვე წაიყვანეს გარდა ერთი ბატალიონისა (400—500 კაცი), მაგრამ წაიყვანეს შინ კი არა, თათრების და თათრებისგან დასახოცათ...

როგორც მკითხველმა იცის, განჯის ამბების გამო ადერბეიჯანის დელეგაციამ დაიგვიანა და ზავი 7 დღის მაგიერ 12 დღეში ძლივს შეიკრა. ამ ხნის განმავლობაში ჩვენი და ბალშევიკების ჯარები სავსებით დაძმობილდნენ. რუსებმა გადასწყვიტეს და ფიცი დასდეს (ფიცის დროს ყველა ჯვარს იღებს გულიდან და ხელში იკავებს. უჯვარო წითელი არმიელი ჩვენ ფრონტზე არ გვინახავს), რომ არ ეომონ ქართველ მუშებს და გლეხებს და თუ ზავი არ მოხდებოდა და საომარ მოქმედების დაწყების ბრძანებას მივიღებთ, ყველანი მივდივართ საქართველოშიო. ამავ დროს მოდიოდენ თათრები და გვეუბნებოდენ: მოვტყუვდით, შეგვაცდინეს, შემოგიერთდებით და ამოვწყვიტოთ ესენიო. რაზედაც ჩვენ ვუპასუხებდით, რომ თქვენ შინაურ საქმეში ჩვენ ხელი არა გვაქთქო. ისე კი ძალიან ეცოდებოდა ჩვენ გვარდიელებს, მართლაც და საცოდავი თათრები. სამოთხეს პირდებოდენ და ახლა დამშეული ჯარი მოუყვანეს სარჩენათ. წაიღეს ყველაფერი, ტანისამოსიც კი, და ერთი იმედით კვებავდენ: თფილისს ავიღებთ, იქ მთელი რუსეთის ბურჟუაზიის ქონება ინახება და იქიდან გაგისტუმრებთო, მაგრამ ახლა აღარც ეს იმედი აქვთ და ოხრავენ ტიტველ ცოლშვილიანათ...

ჩვენი ჯარი კი მუშაობაშია, ახალ პოზიციებს ამაგრებს ყოველი შემთხვევისათვის. ყველას ესმის, რომ ეს ეხლა არ დასჭირდება, მაშინაც კი, ზავიც რომ არ შეიკრას, ვინაიდან მეორე დღესვე გავცდებოდით ამ პოზიციებს, მაგრამ აკეთებენ, რადგან შემდეგშიაც შეიძლება დაგვჭირდეს, საზღვარი მაგარი უნდა იყოსო. საინჟინერო გუნდი შეუდგა მეორე საცალფეხო ხიდის გაკეთებასაც. მუშაობდნენ გვარდიელები სიმღერით, და დამღეროდნენ სამუშაოს სხვადასხვა ადგილზე სხვადასხვა ჰანგზე: აგერ გურულები, იქ იმერლები, კახელები, მეგრელები, ქართლელები! ყველანი ერთი მეორეს ეჯიბრებიან. თავისუფალ დროს კი სამხედრო მაცადინობაა.

გვარდიის სულიერი მდგომარეობა კიდევ უფრო ასწია საჩუქრების გამოჩენამ. „გაუმარჯოს თფილისს“ო გაიძახოდნენ მხიარულათ, როცა კონიაკს ან ღვინოს ირიგებდნენ, ან როცა პატარა პარკს, საჩუქრები რომ გამოეკერათ, ბავშვივით შეათამაშებდნენ ხელში.

დიდ სიხარულს იწვევდა ხოლმე აგრეთვე ახალი გაზეთების დარიგება. მთელი ფრონტი თეთრათ აფრიალდებოდა, აღელდებოდა და შემდეგ ჯგუფ-ჯგუფათ დაიყოფოდა, რომ ყველას გაეგონა ახალი ამბები. რასაკვირველია, ამ შემთხვევაში იყო განსხვავებულ ჩვენ ბატალიონებში. გაზეთები ყველას ერთნაირათ არ აინტერესებდა და ამ ნიადაგზე ენა მახვილობდენ კიდევაც ამხანაგური კილოთი. გარე კახელები ამაზე არ ჯავრობდენ ხოლმე, პირიქით, იფერებდენ ასეთ ხუმრობას. ერთხელ, როცა მათ ბატალიონს გაზეთის დამრიგებელი მიუახლოვდა და გვარდიელები შემოეხვიენ, გორაკიდან მოუთმენლათ მოაყვირეს: „ბიჭო რა მოგვიტანეს, ჰა“. და როცა პასუხათ მიიღეს გაზეთებიო,—ღიმილით გადმოსძახეს მეგაზეთეს: „გურულებს წაუღე, გურულებს: ლაყბობა მათი საქმეა“-ო. გურულებიც შეპირდენ, როცა ღვინო მოვა, თქვენ გამოგიგზავნითო.

ამ ყოფაში იყო გვარდია წითელ ხიდთან, როცა მოვიდა სამწუხარო ამბავი ჯავის გარნიზონის განადგურებისა და ცხინვალის აღებისა. გვარდიის აღშფოთებას საზღვარი არ ჰქონდა. ყველა ბატალიონებიდან მოდიოდა მოციქულები: ჩვენ გაგვაგზავნეთ იქ, ჩვენ გავუსწორდებით თავხედებსო და თან ბუზღუნობდენ, იგინებოდენ: ჩვენი მთავრობისაგან გვჭირს ყველაფერი, ჩვენი ლმობიერი პოლიტიკაა დამნაშავე. შეხედონ მაინც აგერ ბალშევიკებს რა დაატრიალეს განჯაში. თუ იმათ, მოსკოვიდან მოსულთ აქვთ უფლება მის სახლში ასეთი დღე დააყენონ თათრებს, რათ უნდა ვითმინოთ ოსებისაგან ამდენი უბედურება ჩვენ სახლში ოსებისაგან, რომლებიც ჩვენში ქართველ გლეხთა საწინააღმდეგოთ ჩამოუსახლებიათ ჩრდილოეთიდან ჩვენ თავადებს და რომლებიც იარაღათ ყავდა ნიკოლოზსაც, როგორც სტრაჟნიკები? როდემდის უნდა ვუკითხოთ სოციალიზმის სახარება ამ ყოფილ სტრაჟნიკებს, რომლებსაც ისევ სტრაჟნიკობა ენატრება? ასე გაიძახოდენ ყველანი და თან უმატებდენ: არა, ეხლა მაინც უნდა გათავდეს, უნდა მოეღოს ბოლო ლოცვასო.

**ზ. დათიაშვილი.**

## ამხ. ლავროსი კილურაძე

დეპეშამ გულშემზარავი ამბავი გვამცნო. ხანგრძლივი ავათმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა საუკეთესო ამხანაგი და იშვიათი რევოლიუციონერი ამხ. ლავროსი კილურაძე.

ამხ. ლავროსი პარტიულ მოღვაწეთა იმ ჯგუფს ეკუთვნოდა, რომელიც ჯერ კიდევ მუშათა მოძრაობის გარიჟრაჟზე მტკიცე რწმენით და ახალგაზდური გატაცებით შეუდგა მუშათა კლასის განთავისუფლების საქმეს. ათეული წლების განმავლობაში იშვიათი ენერგიით და თავგანწირვით იღვწოდა პარტიაში, აწყობდა ორგანიზაციებს, ამზადებდა ამხანაგებს: ბათომში, ფოთში, გურიაში, სოხუმში და სხვ.

1909 წელს ამხ. ლავროსი გადაასახლეს ციმბირში, სადაც მან დაჰყო რვა წელი და საიდანაც ფიზიკურათ დასუსტებული დაბრუნდა სამშობლოში რევოლიუციის დღეებში. მას არ ახსოვდა ავათმყოფობა, უკანასკნელ წლებშიაც თავდავიწყებით მუშაობდა, როგორც პარტიაში, აგრეთვე რევოლიუციონურ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში.

უკანასკნელათ ის არჩეულ იქნა საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრათ, მაგრამ ულმობელმა სენმა მას არ დააცალა ამ ასპარეზზე მოღვაწეობა და წელიწად ნახევრის ავათმყოფობის შემდეგ უდროვოთ სიცოცხლეს გამოასალმა.

სპეტაკი და ნაყოფიერი იყო შენი მოღვაწეობა, სამაგალითო და მისაბაძი შენი ცხოვრება!

დაუვიწყარი, სამარადისო იქნება შენი ხსოვნა, ძვირფასო ამხანაგო!

**შენი ვასო.**

---

გულდაწყვეტილნი დავსტირით ძვირფასი ამხანაგის და საუკეთესო რევოლიუციონერის ლავროსი კილურაძის უდროვოდ დაკარგვას. **ი. ხალაყაია, ვ. ნოდია, ო. ხოლოღაშვილი, პ. ბერიშვილი, მ. ქიტაშვილი.**

---

გულითად მწუხარებას გამოვთქვამ ძვირფას ამხანაგ ლავროსი კილურაძის უდროოდ გარდაცვალების გამო.

**დ. ონიაშვილი.**

## რკინის გზელთა პროფეს. კავშირების კონფერენცია

(გაგრძელება)

**ხაშურის რაიონიდან ის. თელია.** რაიონს და ზოგიერთ სექციებს შორის არ იყო სრული თანხმობა, რადგანაც გამგეობა ხშირად ფრთებს აკვეცავდა მათ მაქსიმალისტურ მოთხოვნილებებს, როგორიც ეს იყო კონდუქტორების სექციის ადმინისტრაციასთან დამოკიდებულების დროს. ეხლა გამგეობა შეთანხმებული მუშაობს.

ბორჯომის ქვე-რაიონი აფერხებს ჩვენ მუშაობას ხშირათ იმის გამოც, რომ წევრები ხაზიდან სიშორის გამო კრებას ვერ ესწრებიან და არც არის საშვალება რომ ისინი განთავისუფლებულ იქნან სამსახურიდან. ხშირად გვიხდება მუშაობა პარიტეტულ კომისიებში. ამას წინად მომხდარი ხაშურის დეპოს მუშების გაფიცვა იყო გადაჭარბებულად გამოცხადებული და ის იყო გამოწვეული უმთავრესად სურსათის და ჯამაგირების თავის დროზე მიუცემლობის გამო, და პრესაში კი ეს გადაჭარბებულად იყო. უნდა ითქვას, რომ ხაშურს ამ ბოლო დროს ნაკლები ყურადღება ექცევა სურსათის მიწოდების მხრით და მთელი დღეები პური არ აქვთ, პურის ფქვილის უქონლობის გამო მაშინ, როცა თფილისში არის. გამომცხვარი პური არ გვყოფნის რის მიზეზიც არის, ფურნის დაწვა და ადგილობრივათაც არ იშოვება სურსათი, რომ იყიდო. ჯამაგირები თავის დროზე არ მოდიოდა, რაც მიეწერება ადმინისტრაციის დაუდევრობას და საქმისადმი უყურადღებობას. ხშირად დავდიოდით ცენტრში ამ კითხვების მოსაწესრიგებლად და არაფერი გამოდიოდა, რამაც ბოლოს მუშები გაფიცვამდე მიიყვანა. გამგეობა სასტიკ წინააღმდეგობას უწევდა გაფიცვას, მაგრამ ბოლოს აღარ გავიდა ჩვენი მოწოდება და ერთი დღე კიდევაც შეაჩერეს მუშაობა. ამის გამო ჩვენ ცენტრის დახმარებით გავაძევეთ 2 წევრი კავშირიდან და სამსახურიდანაც. კულტურულ სფეროში გამგეობამ დიდი ენერგია დახარჯა სახალხო უნივერსიტეტის და საშუალო ცოდნის შესასწავლ კურსების გახსნაზე. გავხსენით სამკითხველო. შეუდექით კლუბის შეკეთებას. შევიძინეთ პროექტორი, რომელიც მოკლე ხანში დაიწყებს მოქმედებას. ბინის საკითხი მწვავედ სდგას. შეშის უქონლობა ცუდ მდგომარეობაში გვაგდებდა. საჭიროა წელს მაინც თავის დროზე დაამზადებდეს საჭირო შეშას სამასალო ადმინისტრაცია. შეკითხვაზე—გარიცხული მუშები კომუნისტებია თუ არა,—არ არის კომუნისტები, ისინი ძველი პარტიული მუშებია და შეცდომით ხელმძღვანელობდნენ გაფიცვას. დღეს მათი მდგომარეობა აუტანელია და რაიონული გამგეობა შუამდგომლობს ცენტრის წინაშე დაბრუნებულ იქნან თავიანთ ადგილზე.

**ბორჯომის ქვე რაიონიდან—გედევანიშვილი.** ქვე რაიონში ითვლება 412 მოსამსახურე. ხაშურის რაიონის კრებაზე ვერ ვესწრებით სიშორის გამო. ჩვენი საქმეები, ჯერ ხაშურში უნდა გაიგზავნოს და მერე ცენტრში, ეს კი იწვევს დაგვიანებას. რომ რაიონის მუშაობა ნაყოფიერი იქნეს, აქაც უნდა დაარსდეს რაიონული გამგეობა, რომელსაც პირდაპირი კავშირი ექნება ცენტრთან დამოუკიდებლად. სახაზინო ბინები არ არის საკმაო; 61 მოსამსახურეში 16 კაცს უკავია ბინა, დანარჩენი კი ცხოვრობს ქალაქ გარეთ. არის შემთხვევა, რომ ზოგიერთი მოსამსახურეები დადიან ბელაგორიდან და დაცილებულ სადგურებიდან. ეს დაუშვებელია წარმოების ინტერესებისათვისაც. რაც არის სახაზინო ბინები, ისინიც არ არის განაწილებული სამართლიანად და ზოგიერთი დარგი პირდაპირ უბინაოდ არის დარჩენილი, ეს არის ლიანდაგის მუშები, რომელსაც მატარებელშიაც არ უშვებენ და რევიზორები იჭერავენ. არ გვაქს თეატრი და რაიონის მოსამსახურეები შუამდგომლობენ, ცენტრმა დახმარება გაგვიწიოს და აგვიშენოს შენობა. მასალა აქ შეიძლება იაფფასებში დაგვითმოს მიწადმოქმედების სამინისტრომ. ამ ნიადაგზე ჩვენ დავიწყეთ მუშაობა და წარმოდგენებიც უნდა მოვაწყოთ თეატრის სასარგებლოდ.

**მთავარ სახელოსნოს რაიონიდან—მაჭარაძე.** სახელოსნოს რაიონი ყველაზე დიდი რაიონია. არის სამი სექცია, რომელიც გამგეობასთან შეთანხმებით მუშაობს. რაიონის მუშაობა დაკავშირებულია ცენტრთან. ჩვენი მუშაობის დროს იყო პატარა შემთხვევები მუშების ცხოვრებაში. ეს იყო 60% მომატების დროს. ამ მომატებას დაგვიანდა და მუშებმა ამ ნიადაგზე გამართეს მი-

ტინგი, მაგრამ ახსნა-განმარტების შემდეგ დაიშალენ. მეორე შემთხვევას სულ მოკლე ხანში ჰქონდა ადგილი; ეს იყო, როცა პურის რაციონი შეუმცირეს ფრონტზე პურის მოთხოვნილების გამო, რამაც გამოიწვია მუშაობის შეჩერება. ამ ნიადაგზე გაძევებულ იქნა ცენტრის მიერ კავშირის წევრობიდან 4 მუშა. კანტორის მოხელეებში უკმაყოფილებას იწვევს ის, რომ კატეგორიის გარეშე არიან და დაკლებულ ჯამაგირებს ღებულობენ. ასეთივეა დარაჯების მდგომარეობა, რომელთა საგრძნობი რიცხვია და მათი მდგომარეობა მუშაობის მხრით გამოურკვეველია.

**მე-7 რაიონიდან (სადგური)—მეგრელიშვილი.** არსებობს 6 სექცია. წევრები 2,500 კაცამდეა. საავათმყოფოს მოსამსახურეების სექცია წელს შევვიერთეს. დიდი დაბრკოლება გადავველობა საავათმყოფოში მუშაობის დროს, მაგრამ შევძელით სექციის შედგენა. პირველად საავათმყოფოს სექციას არავითარ ანგარიშს არ უწევდა საავათმყოფოს ადმინისტრაცია. იყო შემთხვევა, როცა რაიონმა მოინდომა მავნე მოსამსახურეებიდან საავათმყოფოს გაწმენდა და ამ მიზნით კომისია გავაგზავნეთ იქ, საავათმყოფოს გამგე მათ არ ცნობდა და მხარს არ უჭერდა. ასეთივე პოზიციაზე იდგა ცენტრის კომისია, მაგრამ ჩვენ ბოლოს შევძელით ეს დაბრკოლებაც გადაგველახა და სექცია ჩავვეყენებია მსგავსი სხვა სექციებისა ნორმალურ კალაპოტში. რიონის სადგურის მუშების და კონდუქტორების სექცია კარგათ მუშაობს; მოისუსტებს ლიანდაგის და ტეხნიკურ აგენტების. რაიონს ბევრი სამუშევარი აქვს და არ არის საკმაო ორი კაცის განთავისუფლება.

ბრძანება № 17 დიდ შეხლა-შემოხლას იწვევს და კატეგორიულად მოითხოვენ სექციებიც მის გადაშინჯვას. ასეთივე მდგომარეობაა კატეგორიების შესახებაც, რადგანაც მოსამსახურე მთელ კატეგორიაზეა გაყინული. მეისრეებს და ღამით მორიგეებს პური ეძლეოდათ ნახევარი გირვანქა მეტი და ეხლა არ ვიცით რისთვის მოუსპეს. ხაზის კანტორის მოხელეები 8 საათ. მუშაობენ და არ ღებულობენ იმ განსხვავებას, რომელიც მათ ეკუთვნით სხვა 6 საათ. მომუშავესთან შედარებით. ტანისამოსის მიუღებლობა იწვევს უსიამოვნებას. უნდა ეძლეოდეს ფიზიკურად მომუშავეებს, მეისრეებს და სხვას.

**სამართველოს რაიონიდან—თავაძე—** საერთო მდგომარეობა ისეთივეა, როგორც საერთოდ მოხსენებებში გაატარეს. სექციების რიცხვი 5. სასურსათო სექციის და სამოსწავლო სექციის მდგომარეობა გამოურკვეველია. წესდების ძალით კავშირი ადმინისტრაციასთან ერთად უნდა ილებდეს და ითხოვდეს კავშირის წევრებს და აქ კი ეს არ ხდება, რადგანაც სასურსათო კომიტეტი და სამოსწავლო თვითონ განაგებენ ამ საქმეს. საჭიროა კონფერენციამ ეს საკითხი გადაჭრას, ჩვენდასასარგებლოდ. მასწავლებლების ჯამაგირი ძლიერ ჩამორჩა ერობის და ქალაქის მასწავლებლებისას და ამ საკითხს უნდა სათანადო ყურადღება მიექცეს. ასეთივე მდგომარეობაა სტამბის მუშებშიაც, რომლებიც შედარებით ძლიერ ნაკლებს იღებენ სხვასთან შედარებით. პარიტეტულ კომისიის მუშაობა არ გვაკმაყოფილებს და საჭიროა გამოიცეს სამოქმედო ინსტრუქცია ამ კომისიის მოქმედება-მოვალეობის შესახებ. ჩვენ რაიონში ცენტრმა მხოლოდ ერთი წევრი გაანთავისუფლა სამუშავოდ. საჭიროა, როგორც სხვა რაიონებმა, აქაც ორი კაცი იქნას თავისუფალი.

**ნავთლუღის რაიონიდან ა. ჟღენტი**— ეს რაიონი სივრცით დიდია და ზოგიერთი სადგურები, სანაინი და სალოლლი ძლიერ შორეულ მანძილზეა. სანაინიდან შემოდიან ჩვენ რაიონში წევრები და მათ საშვალება არ აქვთ, კრებაზე დასწრების, რადგანაც ადმინისტრაცია მათ არ ანთავისუფლებს. სურსათის შესახებ თუ სხვაგან არ არის კარგად, მით უმეტეს ნავთლუღის რაიონში, რომელიც ყოველთვის ომის მდგომარეობაში იმყოფება და სანაინს და სალოლლს პურს ვერ აწოდებენ და არც ალო-მახლო სოფლები აკრავს და მოსამსახურეები აუტანელ მდგომარეობას განიცდიან. ბინების სივიწროვე ხომ ყველაზე უფრო აქ არის. არ გვაქვს კლუბი, საჭიროა შენობის გამოძებნა და რაიონის კულტურულად დაკმაყოფილება. რაიონსა და სექციას შორის არის პატარა უთანხმოება უფასო ბილეთების მიცემის შესახებ. საჭიროა სანაინიდან მოსულ წევრს ეძლეოდეს დღიური. ამით გათავდა ადგილებიდან მოხსენება.

ამის შემდეგ კონფერენციამ მოისმინა სასწავლო კომიტეტის მოხსენება.

(შემდეგი იქნება)

გალო სკლიარი.

## ს. დ.-პარტიაში

**დიდი ჯიხაიში.** 2 ივლისს შესდგა ადგილობრივ სოც.-დემ. კოლექტივის კრება, რომელზედაც გაირჩა შემდეგი კითხვები: მოხსენებები პარტიულ ყრილობიდან და ადგილობრივ „იაჩეიკებიდან“. პარტიის წევრთა რეგისტრაცია, კასის მდგომარეობა, კრებების მოწყობა, პარტიული კლუბი და სხვა მიმდინარე კითხვები. პარტიულ ყრილობიდან მოხსენება გააკეთა ამხ. ნ. დევიძემ. თავის მოხსენებაში შეეხო მხოლოდ ორ საკითხს—პარტია და სახელმწიფო და პარტიულ მუშაობას. დანარჩენ კითხვებზე მოხსენების მოსმენა კრებამ გადასდო პარტიულ კონფერენციისთვის. ამის შემდეგ კრებამ მოისმინა მოხსენებები ადგილობრივ „იაჩეიკებიდან“. როგორც მოხსენებებიდან გამოირკვა, ზოგიერთ „იაჩეიკებში“ მუშაობა შენელებულა, რაიც აიხსნება სოფლად ამ ჟამად გამუდმებული მუშაობით. კრებამ [illegible]

[illegible] ხნის წერა კითხვის კურსებს უცოდინარებისთვის და აწყობს მოზდილთათვის სხვა და სხვა თემაზედ მოხსენებებსო: კოლექტივმა დაადგინა ამ საგანზე გაკეთდეს იაჩეიკებში მოხსენებები.

ქ. დინჯაძე.

## მუშათა შორის

**გაგრის ოლქის ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეთა მდგომარეობა.** ზემოხსენებული ოლქის ფ.-ტელ. მოხელეები, მეტად დაჩაგრულ და კრიტიკულ მდგომარეობაში იმყოფებიან. ოლქი მოშორებულია ცენტრს. მას არ შეუძლია უცენტროთ იარსებოს ან დააკმაყოფილოს ესა თუ ის ოლქის მოთხოვნილებანი. არსებობს კოოპერატივი, მაგრამ ის ფაქტიურად მკვდარია, არავითარი სიცოცხლე მას არ აჩნია. ჩვენ ვიცით, რომ დღეს, ცენტრში ასე თუ ისე საქონელი მოიპოვება და აგრეთვე პირველ მოთხოვნილების საგნებიც, მაგრამ ჩვენდა საუბედუროთ, ჩვენ კავშირს არ ძალუძს დროზე დაიკვეთოს ან შეიძინოს საქონელი; ჩვენთან მოსავლამდე საქონელი ხელში უვარდება სპეკულიანტებს და ამიტომ ჩვენ არა გვაქვს საშვალება უზრუნველვყოთ ჩვენი კოოპერატივი.

მიზეზი ყველა ამისა არის უგზოობა და მოწყვეტილობა ცენტრიდან. ერთად ერთი მანუგეშებელი გემის მისვლა-მოსვლაა. გემი კი თვეში, შეიძლება, ერთხელ მოვიდეს. მოწყვეტილი ვართ ყველაფერს, არ ვიცით თუ რა ხდება ჩვენს გარშემო. გაზეთს თუ იშოვი, მხოლოდ დაძველებულს.

მცხოვრებთა შორის სუფევს სრული სიბნელე. მოხელეების რიცხვი აღემატება ორმოც კაცს. ყველაფრის სიძვირეა, სპეკულიაცია მძვინვარებს, პური 30 მ. ფასობს.

დღეს მოხელეებს ეძლევათ მარტო პურის ფასი; მაგრამ დღეს თუ მოუმატეს, ხვალ ბაზარში გაცილებით ორი სამი იმდენი ფასობს სანოვაგე. დროა ყურადღება მიექცეს ასეთ ყოვლად მივიწყებულ და ანაზარად მიტოვებულ კუთხეს. რომ კავშირებმა რაც შეიძლება მეტი საქონელი გამოგზავნონ, აქეთ ჩვენ კოოპერატივებში, ამით ჩვენ შევსძლებთ შევიძინოთ პირველ მოთხოვნილების საგნები.

ნუ დაივიწყებთ, რომ ცენტრის მშრომელი ხალხის და პროვინციელების ინტერესები ერთი და იგივეა. ჩვენ განუყოფელ ნაწილს შევადგენთ და ვიბრძვით უძვირფასეს მომავლისთვის, თავისუფლებისათვის. საჭიროა მეტი შეკავშირება, მეტი უნარის გამოჩენა, რომ დავეხმაროთ ერთმანეთს. თუ დროზე არ იქნა მიღებული ზომები, იმ შემთხვევაში მშიერ კუჭით არ ძალუძს ადამიანს გაა- [illegible]

## პროვინცია

[illegible]

გი: ს. მარტვილის და ნახარებოვოს მცხოვრებთა დადგენილებით საეკლესიო დღესასწაული მოსპობილია. მის მაგივრათ სადღესასწავლოთ შემოღებულია ოქტომბრის თვის 12 რიცხვის შემდეგ პირველი კვირა დღე (ძველი სტილით) წელს კი დღესასწაული იქნება 18 ოქტომბერს ძველი სტილით.

**დუშეთის სახალხო მასწავლებლებს.** ამხანაგებო, ამას წინათ თფილისში შემთხვევით შევიარე „მუშათა მაგიდაში“ იმის გასაგებათ, გვერგება რამე ჩვენც სურსათ-სანოვაგიდან ან მანუფაქტურიდან თუ არა. აქვე საინტერესო ამბავი გავიგე: ერთ-ერთ მასწავლებელს სრულიად ჩვენ დაუკითხავათ შეუდგენია მასწავლებელთა და სხვა მოსამსახურეთა სიები 113 სულამდე, რომლის მგონი მესამედიც არ ვიქნებით და სტოროჟები ხომ მარტო ორიოდე შკოლაში მოიპოვება, შეუმოწმებია სია განათლების სამინისტროში და წარუდგენია. მიუღია, როგორც სჩანს, 5 ფუთი შაქარი, 10 ფუთი ბრინჯი, მანუფაქტურა, ფეხსაცმელები და სხვა. რომ მასწავლებელნიც მოემადრიელებინა, იმათთვისაც მიუცია რაღაც 1/4 ნაწილი წაღებულისა, ისიც დიდი ფასდადებით და დანარჩენით თითონ უსარგებლია, საჭიროა, რაც ხდება მასწავლებლების სახელით, იმავე კონტროლის ქვეშ ტარდებოდეს, თორემ ასეთი თვითნებობა, იქ მუშათა მაგიდის მოტყუება, აქ ამხანაგებისა, რომ მათთვის წამოღებულ საქონელს თვითონვე იტოვებს, არ შეეფერება მასწავლებლების ღირსებას. დეე, თითონვე იგრძნოს ეს იმ მასწავლებელმა, რომლის გვარიც არ მინდა ჯერ გამოვაქვეყნო. ეხლაც მაისის ულუფაც მიუღია კიდევ მასწავლებლებისა და ვნახოთ ჩვენამდე რა მოვა.

მასწავლებელი.

## წერილი რედ. მიმართ

„სახალხო საქმის“ № 859 მოთავსებულია წერილი „უპარტიო“-სი. ბ. „უპარტიო“ აცნობს მკითხველს წინანდალის სახელმწიფო მამულის მდგომარეობას და აშუქებს მას ისე, რაც სინამდვილეს არ შეეფერება. ბ. „უპარტიო“ წერილის თავში ამბობს: „ამ მამულის (წინანდალის) გამგეთ არის პარტიული კაცი ე. რამიშვილი“-ო. რა შუაშია აქ პარტიული კაცი,—კორესპონდენტი მკითხველს არ უხსნის; მაგრამ აშკარაა, ამით იგი სცდილობს ერთი ქვა გადაისროლოს იქით, საითაც ამას „უპარტიოს“ პარტიული მდგომარეობა მიუთითებს. შემდეგ ბ. „უპარტიო“ განაგრძობს: კაცი, (მოურავი) რომელიც ცდილობს ადამიანში იპოვოს მხოლოდ უხეირო მხარე და თუ ვერ იპოვა,—მას თვითონ ხელოვნურათ შესთხზავს“-ო. მაგრამ სწორეთ თითონ იქცევა ასე, როდესაც ეძებს მხოლოდ უხეირო მხარეს და ამიტომ ხელოვნურათ შეთხზვასაც არ ერიდება.

მამულის მდგომარეობის შესახებ სახელმწიფო მამულთა განყოფილებას აქვს მოხსენება სპეციალისტებისა, საიდანაც სჩანს, რომ მამული შედარებით კარგათ მოვლილი და შენახულია. სპეციალისტების მოხსენებით წინანდალის მამული ევროპის ზოგიერთ დიდ მამულებსაც კი არ ჩამოუვარდება. მომხსენებელი დაასკვნის, რომ მოურავი რამიშვილი, რომელმაც შესძლო მამულის სასურველად მოვლა-შენახვა, ჯილდოს ღირსიც არისო.

უკანასკნელ დღეებში განყოფილების გამგეს საშუალება ჰქონდა დაეთვალიერებია მამული და ადგილობრივ გასცნობოდა ყველაფერს, რამაც დაგვარწმუნა ზემოთ ნათქვამის სისწორეში. ბ. „უპარტიო“ მკითხველს ეუბნება: „ბ. რამიშვილს რომ მამულის გამშვენიერებაზე და მის შემოსავალზე ეფიქრნა, უფრო ემჯობინებოდაო.“ რომ მკითხველი დაარწმუნოს მამულის ვითომცა და გაოხ- [illegible]

უკანასკნელი უდროვო წამლობის გამო სანახევროდ გაუფუჭებია ჭრაქსა და ობს, რაც სრულიად არ ემჩნევა სახელმწიფო მამულის ხელში დატოვებულ ნაწილს.

ბ. „უპარტიოს“ წერილის უმთავრესი დანიშნულება იმაში არის, რომ მკითხველს დაუმტკიცოს მოურავსა და მუშებს შორის არსებული უთანხმოება, ვითომც ამას ისეთი მწვავე ხასიათი ჰქონდეს, რომ მუშები და რამიშვილი მამულში ვერ ეტევიან. ბ. „უპარტიო“ ამბობს: მკითხველს ექნება გაგებული ის აურზაური, რომელიც მოხდა რამიშვილსა და მუშებ შორის. საგამომძიებლო კომისია, თუ მუშების საბუთებმა ვერ დააკმაყოფილა, რაც რამიშვილის წინააღმდეგ იყო წამოყენებული,—ნუ თუ მისთვის არ კმარა განცხადება მუშებისა საზოგადო კრებაზე შემდეგი სიტყვებით: „ან რამიშვილი უნდა იყოს მამულში, ან ჩვენ, მუშებიო“. მკითხველი თვით ჰხედავს უპარტიოს ცალმხრივობას და ქინიანობას. საბუთები საკმარისი არ იყო, მაგრამ რატომ მაინც რამიშვილი არ გააძევესო. საქმეც იმაში გახლავს ბ. უპარტიო, რომ უდანაშაულოთ და უსაბუთოთ არავინ არ უნდა იდევნებოდეს. ეს რომ არ დაგვიწყებოდათ და ლოღიკისთვის არ გელალატნათ,—არც თქვენი წერილი დაგჭირდებოდათ. ბ. უპარტიოს უნდა მოეხსენებოდეს, რომ რამიშვილს დამოუკიდებლად არავის დათხოვის და გაძევების უფლება არა აქვს. ვინც დასათხოვნია, იმას ითხოვს სამინისტრო სათანადო საბუთების მიხედვით.

ბ. უპარტიოს ამყოლი დემაგოგები რომ ნაკლებ გვეყოლებოდეს, საქმე უკეთ წავა. ეს ნათლად დამტკიცდა 2 ივლისს მუშების კრებაზე, რომელსაც დაესწრენ თფილისიდან—პროფესიონალურ კავშირების ცენტრალურ საბჭოს წევრი და სამინისტროს წარმომადგენელი. ამ კრებაზე არც ერთ წინანდლის მუშას არავითარი ბრალდება არ წამოუყენებია მოურავ რამიშვილის წინააღმდეგ. აქედან აშკარაა—საქმე არც ისე უნუგეშო ყოფილა, როგორც ამას ბ. უპარტიო ცდილობს დაუხატოს მკითხველს.

სახელმწიფო საქმის კეთების დროს შეიძლება თითო-ოროლა განაწყენები დაგვრჩეს, მაგრამ სახელმწიფოს ინტერესებს პიროვნების სურვილს ვერ ვანაცვალებთ.

**სახელმწიფო მამულთა განყოფილება.**

ჩვენ მივიღეთ იესე შათირიშვილისაგან ბახვის მომავალი სახალხო სახლის ასაშენებლათ შემწეობა: ივანე ლაზ. თევზაძისაგან 100 მ., ევსევი თოდუასაგან 50 მ., ა. დადიანისაგან 50 მ., ვაკოპულოსაგან 100 მ., ბუაჩიძისაგან 50 მ., მ. სუსლინისაგან 200 მ., А. Мануилидисъ-გან 250 მ. იესე შათირიშვილისაგან 500 მ., სულ—ათას სამასი მან. (1300 მ.), რისთვისაც დიდ მადლობას უძღვნი შემომწირველთ. ეს ფულები გადაცემულია დანიშნულებისამებრ.

გიგო შარაშიძე.

## ჩვენი ფოსტა

**ალექსანდრე ლორდელს.** თუ თავისუფალი ხართ, დაჩქარებით შემოიარეთ რედაქციაში.

**ახალ-სენაკი.** ს. დ. მ. პ. ბიუროს. მივიღეთ 8,439 მა.. გვაცნობეთ დანიშნულება.

რედაქტორი ლევან ნათაძე.


## განცხადებანი

5 ივლისს სადღაც წავიდა 12 წლის ყმაწვილი

**ნიკო ალექსანდრეს ძე ბექანიშვილი**

მას შემდეგ ვერაფერი გავიგეთ თუ სად იმყოფება. თუ ვინმემ რამე იცის ან გაიგოს ვსთხოვთ გვაცნობოს შემდეგი მისამართით: კირკის ქ. № 56, ძართა ბექახოვს. (1—1)

**ყოფილი დამაარსებელი და გამგე სრულ-უფლებიანი გ ი მ ნ ა ზ ი ი ს ა**
მათემატიკის მასწავლებელი, ივ. მარკ. მაჩაიძე. ამზადებს მოზრდილთა 4,5,6,7 კლას. შესასვლელად. ყველა სასწავლ. და მოწაფეებს განმეორებითი გამოცდებზე; მათემატიკაში, ენებში და სხვა საგნებში. მისამართი: პლეხანოვის ქუჩა 25. (ყოფ. მიხეილის ქ.) შესავალი ალექსის ქ. 5. 9—11 ს. 4—6 ს. საღ. (2169—7—4)

ექიმი **ნ. ა. არუთინოვი**
სპეციალურათ სიფილისი (606 და 914) ვენერიული ტრიპერი, შარდის ორგანოების ოპერაცია ნდისკოპია (საშარდე მილის). მიხეილის პრ. № 80, ბინა 3. მიღება დილით 9—12 ს. საღ. 4 ნახ. 6 ნახ. საათამდე. (1555—თ.)

**იყიდება საკერავი მანქანა-შკაფი**
ზინგერის სისტემისა.
პეტრედიდის ქუჩა № 18 მეორე სართული, ბინა № 6.

ექიმი **მ. ა. შაფრანი**
სპეციალურად სიფილისი და მისი შედეგები (შეშხაპუნება „606“ და „914“) ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე. ქალების 4—5 ს. კვირაობით მხოლოდ დილით. მისამართი ოლღას ქ. № 33. (1288 25—4)

**ყოფილი 1 კავკასიის კორპუსის სამხედრო ვეითალი—ექიმი**
**ი. გ. ქუთათელაძე**
იღებს შინაგან, კანით (ქეცით) ავათმყოფ ოთხფეხ პირუტყვებს და ფრინველებს. ცხენის (ქოთაოს) საპს ვიკვლევ მალეინის შეშხაპუნებით. ჰიით ცხვრის სასულე—მილის ავათმყოფობას ვექიმობ Neimann-ის და Vessel-ის მეთოდებით. ყოველ დღე 3—6 საათ. ბელინსკის ქ. № 39, ბინა 2. (2010—15—1)

ექიმი **ივ. გოკერია**
პლეხანოვის (მიხეილის) პროსპ. № 141; სამხედრო სასწავლებლის პირდაპირ. ქირურგ., ქალის სნეულებანი და სააკუშერო. 1—2 ს. და 5—6 საათამდე. ტელეფონი 5—97. (1835—თ.)

ექიმი **ზ. უ. აღასოვი**
სპეციალურად ქირურგიულ ავადმყოფობას, მიღება დილით; 2—3 საათ., საღამოს 5—7 ს. ელისაბედის ქ. № 112, (ქსენიევის ქ. ახლო) ტელ. № 2. 1951—თ.

ექიმი
გენრიხ ისაიას ძე **ვოლოხი**
(ქუთაისიდან)
ღებულობს ყურის, ცხვირის და ყელის სნეულებიან ავადმყოფებს საღ. 4—7 ს. პლეხანოვის პრ. № 76 (მიხეილის), ტელეფონი 7—38. (1741—თ.)

ექიმი
**ნ. ი. ოქროპირიძე**
იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს საღამოს 4—6 საათამდის. რტიშჩევის ქ. № 22, სოლოლაკი)

ექიმი **ა. დ. კეკელია**
სპეციალურად: სიფილისი (შეშხაპუნება „606“ და „914“) ვენერიული და კანის სნეულებანი. ავათმყოფების მიღება: ყოველ დღე დილის 9—11 ს. და საღ. 4—6 ს. მისამართი: მიხეილის პრ. № 116, სასტუმრო „ნოე“ პირდაპირ. ტელეფონი 14—28. 1838—თ.

ექიმი
**ა. ლევენშტეინი**
შინაგანი და ნერვით სნეულებიანი რენტგენის და ელექტრო სამკურნალო კაბინეტი. მიღება დილის 11—12 ს. და საღამოს 4—7 ს. კრილოვის ქ. № 5, ბინა 3, ტელეფონი 12—46. (1518—თ.)

**ნიკოლოზ მახვილაძე**
იღებს განსაკუთრებით შინაგან სნეულებით ავათმყოფთ ყოველ დღე, საღამოს 4—6 საათამდე. მისამართი: მოსკოვის ქ. № 11, ზემელის აფთიაქის მახლობლად. (1255 46 6)

ექიმი
სოლომონ ისაიას ძე **ვოლოხი**
(ქუთაისიდან)
იღებს ქალისა და შინაგან სნეულებით ავადმყოფებს დილით 12—2 ს. საღ. 5—7 ს. ბელგიის ქ. № 5. (1742—თ.)

ექიმი
**ნ. მ. გაჩეჩილაძე**
(შინაგან და ბავშვთა სნეულებათა) ავადმყოფებს იღებს დილის 8—10, საღამოს 4—7 ს. გრიბოედოვის ქ. № 4. (ჟ. 25—3

# იყიდება
**სრული კომპლექტი მოძრავი კინემატოგრაფი**
მოტორი ბენზინის 8 ძალიანი ავტო-ტიპის „ოპელი“, დინამო შესაფერი ძალიანი, ეკრანა ფანარი „პატე“, ბაბინები, შნურები და ყოველი წვრილმანი ნაწილები. მისამართი: კადეტის შესახ. № 9. ტელეფ. 11—17. (2227 1—1)

**ყინული ბუნებრივი,**
მდინარის, მაგარი იყიდება იაფათ, ყოველდღე 6 12 საათ. ვეტცელის ყოფილ სარდაფებში, დიდი მთავრის ქუჩა № 68, ტელეფონი 16—22. (2220 1—1)

## განცხადება
11 ივლისს სოფ. სკრაში დანიშნულია ზეპირი
**საჯარო ვაჭრობა**
სკრის სახელმწიფო მამულის 35 დესიატინა ბაღის ამ წლის მოსავალზე. ვაჭრობა დაიწყება 1,800,000 მანეთიდან. ცნობის მიღება შეიძლება თფილისში სახელმწიფო მამულთა განყოფილების გამგესთან (მიწათ-მოქმედების სამინისტრო) და სკრაში მამულის მოურავთან. (2199—3—2)